ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132 - 6007

140/2
1991

576
140



1991
ივლისი

# ნაკადული

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გაიბუტა...

ფოტო
ზურაბ
დათუაშვი-
ლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს
ყოველთვიური ლიტერატურულ-პუბლიცისტური
ილუსტრირებული საყმაწვილო ჟურნალი




№ 7 1991 ივლისი
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

7. აქ ვამთავრებთ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის" ბეჭდვას.

24. რუბრიკით „ეთნოგრაფია" გთავაზობთ გურამ გასიტაშვილის წერილს „მარხილი".



32. მხატვარი გივი პეტრიაშვილი გთავაზობთ კომიქსს.



18. ყველა ჩვენგანისათვის საყვარელ კომპოზიტორს, ბატონ რევაზ ლაღიძეს წელს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. ნანა ფავლენიშვილის წერილი „ხსოვნად შთამომავლობას" კიდევ ერთხელ გაგახსენებთ ამ უნიჭიერესი კაცის დამსახურებას ერის წინაშე.



2. თბილისის მოსწავლეთა სასახლეში, რომლის იუბილეც წელს ვიზეიმეთ, ბევრი საინტერესო რამ ხდება. წლების განმავლობაში აქ ნაყოფიერად მუშაობს მხარეთმცოდნეობის განყოფილება, რომელიც საქართველოს ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტებს აერთიანებს. რუბრიკით „კითხვა-პასუხი" გთავაზობთ ინტერვიუს ამ განყოფილების სასწავლო სექტორის უფროსთან, ქალბატონ დენიზა გოზალიშვილთან.

გარეკანის პირველ გვერდზე — თენგიზ მირზაშვილისა და ოთარ ჯიშკარიანის ლინოგრავიურა.

მთავარი რედაქტორი: ვალერი ჯინჭარაძე

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ მდივანი), მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დავით მეტონიძე, იოსებ სამსონაძე, კახა სიხარულიძე, თამაზ ტატიშვილი, ნანა ფავლენიშვილი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, გაგულია შელია, გივი ჭიჭინაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ნინო ხარაზიშვილი.

რედაქციის მისამართი: 884096. თბილისი, კოსტავას, 14.
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 98-31-81.
პ/მგ მდივნის — 98-58-05

გადაეცა ასაწყობად 16.08.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.11.91. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. 1622. ტირაჟი 35,000.

ჟურნალი აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.

NACKADULI
Journal of Youth of the Ministry of Education Republic of Georgia

Tbilisi
Costava st. 14

Editor in chief
V. Gincharadze

## კითხვა-პასუხი

**ჩვენი თანამოსაუბრეა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების სასწავლო სექტორის უფროსი, ქალბატონი დენიზა გოზალიშვილი.**

# ტრადიცია გრძელდება

**— მხარეთმცოდნეობა ტრადიციულად ბევრ ბავშვს იზიდავდა სასახლეში და, პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ, ასევე ტრადიციულად, ამ განყოფილებაში საინტერესო მუშაობა მიმდინარეობდა...**

— დიახ, ასე გახლავთ და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. გოგო-ბიჭები დიდი ხალისით ეწერებიან ჩვენი განყოფილების წრეებში. ალბათ არც გასაკვირია, რომ ყმაწვილებს ასე იზიდავს მხარეთმცოდნეობა, რომ ძალიან ბევრს აინტერესებს სამშობლოს ისტორია, უნდათ, დაიარონ მისი მთა-ბარი, გაეცნონ ისტორიულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, დაუახლოვდნენ მშობლიურ ბუნებას, იგრძნონ ქართული მიწა... ჩვენ კი, უფროსები, ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათი ცხოველი ინტერესის დაკმაყოფილებას.

**— რა და რა წრეები მუშაობს სადღეისოდ განყოფილებაში?**

— მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში გვაქვს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტები, რომლებიც შესაბამისად საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეთნოგრაფიის, საქართველოს არქეოლოგიისა და ნუმიზმატიკის, საქართველოს ძეგლების ისტორიის, ნორჩ ხელმარჯვეთა, ეთნოგრაფთა, გეოგრაფია-გეოლოგიის, მინერალოგიის და სხვა წრეებს აერთიანებს.

**— ბუნებრივია, ნორჩი მხარეთმცოდნეები ბევრს მოგზაურობენ და გარდა იმისა, რომ ცოდნას იძენენ თუ იმდიდრებენ, ჯანსაც იმაგრებენ, რაც, რა დასამალია და, ჩვენს მოზარდებს ძალიან აკლიათ.**

— ცხადია, ჩვენი ექსპედიციები, ალპინიადები, ლაშქრობები, მაღალმთიანი შეკრებები გოგო-ბიჭების ჯანმრთელობის გაკაჟებასაც უწყობს ხელს. ასე იყო ამ ზაფხულს ზესხურის ხეობაში ჩატარებული 12-დღიანი ლაშქრობის დროსაც. ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა მთელი ხეობა დაიარეს, იყვნენ ა. ჯაფარიძის სახელობის მწვერვალის მყინვარის ენაზე, ნახეს ფასის მთა, იხილეს ცანას, ზესხოს, შარი ტაუს, მაჩხაფარის, შხარას, სულხან-საბა ორბელიანის, კოტე მარჯანიშვილის, ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწვერვალების სიდიადე, იყვნენ ურთულესი კლდოვანი მწვერვალის, აილამას ძირში, დაათვალიერეს იქ არსებული მთამსვლელთა სპორტული ბანაკი. ადგილობრივმა ინსტრუქტორებმა ჩვენი ლაშქრობის მონაწილეებს მეცადინეობები ჩაუტარეს, რაც მათ მთამსვლელებისათვის აუცილებელი ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარა; ყმაწვილებმა ისწავლეს მთასვლური საჭურვლის ხმარება, მთის მდინარეებზე გადასვლა, მთაში სიარულის წესები და სხვ. უნდა გენახათ, რა ნასიამოვნები დაბრუნდნენ ნორჩი მხარეთმცოდნეები სვანეთიდან. განსაკუთრებით დიდი იყო იმათი სიხარული, ვინც პირველად მიიღო ასეთ ლაშქრობაში მონაწილეობა. მოკლე ხანში ყაზბეგის რაიონში, ხდეს ხეობაში, ვფიქრობთ ათდღიანი ალპინიადის ჩატარებას, მის მონაწილეებსაც ბევრი საინტერესო ელით წინ. საერთოდ, სამომავლოდ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ჩაფიქრებულ-განზრახული, გვინდა ჩავატაროთ რესპუბლიკური შეკრება „ჩუქურთმა", რომელიც ჩვენს ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლებს მიეძღვნება.



**— ქალბატონო დენიზა, ისე ხომ არ ხდება, რომ თქვენი საქმიანობა მხოლოდ თბილისელ გოგო-ბიჭებს სწვდება?**

— არა, რატომ? ჩვენ რაიონების, კერძოდ, გორის, სენაკის, სამტრედიის, მცხეთის, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებთან თუ სასახლეებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. საშეფო სკოლაც გვაქვს.

**— ერთი სიტყვით, სასახლის მხარეთმცოდნეებს საინტერესო და მრავალფეროვანი საქმიანობა ელით წინ, არა?**

— ჭეშმარიტად, და ეჭვი არ არის, რომ ჩვენთან მოსული ყმაწვილები ცოდნასთან ერთად, ტრადიციისამებრ, ბევრ ისეთ ჩვევას თუ თვისებასაც შეიძენენ, რაც აუცილებელია თანამედროვე, განათლებული, სამშობლოს სამსახურად მზადმყოფი ადამიანისათვის.

ესაუბრა მ. კარგარეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიროვნება და ისტორია

**დიდი გერმანელი განმანათლებელი გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგი ამბობდა: „თუ ისტორია არ იცი, გამოუცდელ ბავშვად დარჩები".**
**მსოფლიოს ისტორიაზე ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა აშკარად არაა განებივრებული. მშობლიურ ენაზე თითქმის ვერაფერს ვკითხულობთ ევროპის გამოჩენილი პოლიტიკოსების შესახებ. ასეთი სახის ინფორმაცია კი საჭირო და უთუოდ საინტერესოა როგორც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ისე ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვისაც. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, შევავსოთ ეს სიცარიელე და ვიწყებთ წერილების ციკლის პუბლიკაციას ევროპელ პოლიტიკოსებზე.**

## ხლოდვიგი

**ფრანკთა** სახელმწიფოს ისტორიაში იგი, ჩვენი აზრით, კარლოს დიდის (768-814) შემდეგ ყველაზე უფრო თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა. ამიტომ ხლოდვიგის მოღვაწეობით დაინტერესება შემთხვევითი არაა, მით უფრო, რომ მის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი გამოქვეყნებულა.

უნდა ითქვას, რომ ხლოდვიგის მოღვაწეობაზე ისტორიას მეტად ძუნწი სარწმუნო ცნობები შემორჩა.

ფრანკების სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს სწორედ ხლოდვიგის (481-511) მმართველობის ხანაში მიაღწია. სხვათა შორის, აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ხლოდვიგი ცნობილი ქართველი მეფის, ვახტანგ გორგასლის (მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარი) თანამედროვე იყო.

უპირველეს ყოვლისა, ხლოდვიგის მოღვაწეობა საგარეო პოლიტიკაში მოპოვებული წარმატებებით იპყრობს ყურადღებას. მისი მეფობის დროს ფრანკთა სახელმწიფოს სამფლობელოები შესამჩნევად გაფართოვდა. 486 წელს ხლოდვიგმა რაგნაჰალთან დაიჭირა კავშირი და სასიკვდილო მახვილი ჩასცა რომაელთა ბატონობას გალიაში. მან სუასონთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა სიაგრიუსი. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ალაფი. ეს, არსებითად, წერტილს უსვამდა გალიაში რომაელთა ბატონობას. 496 წელს ფრანკებმა სძლიეს გერმანელ ტომებს—ალემანებს და შესამჩნევად შეავიწროვეს ისინი გალიის ტერიტორიაზე. იმავე წელს ხლოდვიგმა ცოლად შეირთო ბურგუნდიის მეფის ძმისწული კლოტილდა, რომელიც კათოლიკე იყო. დაოჯახებას სულაც არ შეუშლია ხელი მეფისათვის, რომ ცოტა ხნის შემდეგ ომი დაეწყო ბურგუნდების წინააღმდეგ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანკების მიერ კათოლიკობის მიღებას. ეს მოხდა 496 წელს. აქ კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა ხლოდვიგის დიპლომატიური ნიჭი. ხლოდვიგის ეს ნაბიჯი პოლიტიკური აქტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა გალურ-რომაული არისტოკრატიის გულის მოგებას. ამავე დროს, ეს ქმედება მიმართული იყო ფრანკების მთავარი მტრების, ბურგუნდებისა და ვესტგოთების წინააღმდეგ, რომლებიც არიელები იყვნენ. მათ მიერ დევნილი გალურ-რომაული არისტოკრატია თავშესაფარს პოულობდა ხლოდვიგთან და, რასაკვირველია, მხარს უჭერდა მის პოლიტიკურ კურსს.

წყაროების თანახმად, ხლოდვიგის მიერ წარმოებული ერთ-ერთი მძიმე ომი ვესტგოთების წინააღმდეგ გამართული ომი იყო (507-511). ამ მრავალწლიან და სისხლისმღვრელ ომში გადამწყვეტი აღმოჩნდა ბრძოლა პუატიესთან, სადაც, როგორც გრიგოლ ტურელი აღნიშნავს, თითქმის მთლიანად გაწყდა ოვერნის დიდგვაროვანი არისტოკრატია. მართალია, ხლოდვიგი ჭკვიანი და ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მისთვის უცხო არაა სისასტიკე, მზაკვრობა, დაუნდობლობა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ ხლოდვიგის მიერ მისი მოკავშირეებისადმი ანგარიშსწორების ფაქტები. ხლოდვიგმა მოისყიდა რაგნაჰალთან დაახლოებული პირები და როცა დატყვევებული რაგნაჰალი ხლოდვიგს მიჰგვარეს, ამ უკანასკნელმა საკუთარი ხელით მოკლა თავისი გუშინდელი მოკავშირე. ხლოდვიგმა წააქეზა სიგაბერტი, რათა მოეკლა საკუთარი მამა. მას შემდეგ, რაც სიგაბერტმა სულმოკლედ შეასრულა მეფის სურვილი, ხლოდვიგმა თავად სიგაბერტსაც მოუსწრაფა სიცოცხლე. ასეთ სისასტიკეს, რასაკვირველია, არავითარი გამართლება არა აქვს და სულაც არ იყო ნაკარნახევი ისტორიული აუცილებლობით. ამიტომ ხლოდვიგის გაიდეალების საფუძველი არ არსებობს (რასაც ცდილობენ გრიგოლ ტურელი და გაბრიელ ბონო მაბლი).

ხლოდვიგის მმართველობა მარტოოდენ საგარეო პოლიტიკური წარმატებებით არ ამოიწურებოდა. მისი მეფობის ხანაში ადგილი აქვს სერიოზულ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებსაც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „სალიკური სამართალი", რომელიც, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, შეიქმნა ხლოდვიგის დროს — VI საუკუნის დასაწყისში (შესაძლოა, თვით ხლოდვიგის ბრძანებითაც)



ხლოდვიგის ნათლობა (მე-13 საუკუნის მინიატურა)



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიროვნება და ისტორია

ფრანკებში მიწათმოქმედება გაცილებით უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ძველ გერმანელებში. ისინი ორმინდვრიანობის სისტემას იყენებდნენ, მისდევდნენ აგრეთვე მესაქონლეობას, მეთევზეობას. ფრანკთა მეურნეობის წარმატება აიხსნება არა მარტო მისი შინაგანი განვითარებით, არამედ იმითაც, რომ მათ რომაელებისაგან აიღეს მეურნეობის მართვის ის პროგრესული ფორმები. დაპყრობილი გალიის ტერიტორიაზე რომ დახვდათ. „სალიკური სამართლის“ დროს მიწაზე სრული კერძო საკუთრების შესახებ ლაპარაკი ნაჩქარევი იქნებოდა. „სალიკურ სამართალში“ აისახა, ერთი მხრივ, პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პროცესი, ხოლო მეორე მხრივ — ახალი სოციალური ურთიერთობების ჩასახვა. ხლოდვიგის მმართველობის ხანაში კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებამ. „სალიკური სამართალი“ სავსებით გულგრილი რჩებოდა მშრომელთა ინტერესებისადმი და სულაც არ ზრუნავდა მათი ხელშეუხებლობის დაცვისათვის. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მონის მოკვლა, არსებითად, დაუსჯელი რჩებოდა.

ძველი გერმანელების დემოკრატიული ტრადიციები წარსულს ჩაბარდა. ტაციტუსის მიერ აღწერილი ძველი სახალხო კრებები მხოლოდ მოგონებებს შემორჩა. მისი ადგილი დაიკავა „მარტის მინდორმა“, რომელიც წარმოადგენდა ჩვეულებრივ სამხედრო დათვალიერებას და ძველი დემოკრატიისა აღარაფერი გააჩნდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სამხედრო ნადავლის უდიდესი ნაწილი მდიდრების ხელში მოექცა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ, თუ როგორ გაუჩეხა ნაჯახით თავი ხლოდვიგმა ერთ ჯარისკაცს, რომელმაც ძვირფასი თასის დაპატრონება მოიწადინა.

**მერაბ კალანდაძე**

# 45-ე რესპუბლიკური

„მასწავლებლებსა და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ სამშობლოს ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობისმოყვარეობა არა აქვს მიზნად. დიდი ხანია, ნათქვამია, რომ ისტორია მოძღვარია ერისაო. ხოლო მოძღვრობას ისტორიული მოთხრობანი მაშინ გაუწევენ მოსწავლეთა, როცა იგინი გარკვევით და ნათლად დაუხატავენ მათ თვალწინ, თუ რა უშლიდა და რა უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, მცირდებოდა და ძალ-ღონით ივსებოდა“.

**ჩავიხედეთ** თუ არა მოსწავლეთა წლევანდელი, 45-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მასალებში, დიდი იაკობის ამ სიტყვების ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ შევიცანით: მოზარდებს აშკარად უცდიათ ჩვენი ისტორიის „თეთრი ლაქების“ შეფერადება. მათი სახით სასახლემ იხილა სამშობლოს ბედზე დაფიქრებული, ეროვნულ ცნობიერებაჩამოყალიბებული 1550 ყმაწვილი. ეს მოხედვა საქართველოს ისტორიისა და კულტურის პრობლემებისაკენ ყველაზე მეტად იგრძნობოდა საქართველოს ისტორიის სექციის სხდომაზე. ყმაწვილები დაინტერესდნენ ქართული წარმართობის თავისებურებებითა და უძველესი ქრისტიანული ტრადიციებით, ქართული ეთნოსის, მხატვრული რეწვის, შინამრეწველობის განვითარებით, საქართველოს ისტორიის საკვანძო ეტაპებით, როგორებიცაა დავით აღმაშენებლის, ვახტანგ VI-ისა და სოლომონ II-ის მეფობის პერიოდები. გამომსვლელები შემოქმედებითად მიუდგნენ საქართველოში პოლიტიკური აზროვნების განვითარების ისტორიას, ქრისტიანობის როლს აჭარელთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში; ცოდნით მიმოიხილეს საქართველოს არქეოლოგიური, წიაღისეული სიმდიდრენი, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და სამართალმცოდნეობის ნიმუშები, დღეს ჩვენში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიისა თუ ასტრონომიის აქტუალური პრობლემები.

---

საქართველოში იშვიათია სოფელი, კუთხე და უბანი, ხეთამსახურების უძველეს კულტთან დაკავშირებული წმინდა ხეებით რომ არ იცნობდნენ. ამ ხეებს ხალხი ხატ-სამლოცველოდ მიიჩნევს, სანთელს უნთებს, საკლავს სწირავს.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის საქართველოს ისტორიისა და რელიგიის ისტორიის წრის წევრს **იპოლიტე ქვანტალიანს** მოუნახულებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი ასეთი წმინდა ხეები, შეუკრებია მათთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემები, გასცნობია ამ საკითხზე ქართველ მკვლევართა მოსაზრებებს. აი, რას გვიამბობს იპოლიტე ამის შესახებ:

სიტყვა „ხატიმუხა“ უშუალოდ წმინდა მუხის თაყვანისცემაზე მიუთითებს. ქართული გადმოცემით, ხალხი ამ წმინდა მუხაზე თურმე ხატს დაასვენებდა და სანთელს უნთებდა. წმინდა ხეს მტერიც ბევრი უჩნდებოდა თურმე. ბოროტ ძალას არაერთხელ მოუნდომებია მისი მოჭრა და ხატის დამხობა, მაგრამ ხატის ყოვლისშემძლეობა ყველაფერს ერეოდა. ხალხის წარმოდგენით, მუხა ტოტების შიბით, ანუ ჯაჭვით ცაზე ყოფილა გამობმული. ავი სული თუ ტოტს რაიმე უწმინდურებას წასცხებდა ან ჩამოჰკი-

კონფერენციის დასკვნით ტურში მუშაობდა 19 სექცია: ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ფოლკლორის, შემოქმედ მოსწავლეთა, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ფსიქოლოგია-ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის, მეგობრობის, ბიოლოგიის, ექსპერიმენტული ბიოლოგიის, მათემატიკისა და ინფორმატიკის, ქიმიის, სოფლის მეურნეობის, ფიზიკისა და რადიოტექნიკის, ასტრონომიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენებისა და ხელოვნებათმცოდნეობისა.

სასიხარულოა, რომ ბავშვებმა მეცნიერებისა და ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სერიოზულ პრობლემებს შეჰბედეს. სექციურ მუშაობაში მონაწილეობდა 298 მოზარდი, რომელთაგან ბევრი გამოირჩა არაორდინალური აზროვნებითა და მიგნებული ნაშრომებით.

საუკეთესოები დაჯილდოვდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებითა და თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის დიპლომებით. მაგრამ, როგორც ყოველთვის, იყვნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონიც. მათ, ქართველ მეცნიერთა სახელით, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ გადასცა უმაღლესი ჯილდოები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიპლომები. დაჯილდოებულთა შორის არიან გორის მე-5 საშუალო სკოლის მეათეკლასელი **გიორგი აფციაური** (ნაშრომი „ზეცად აღუპყრიათ სამთავეს თვალნი“), თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის საქართველოს ისტორიის წრის წევრი **ირაკლი გაჩეჩილაძე** („ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVI-XVII სს-ში და სამურზაყანოს ჩამოყალიბება“), მცხეთის რაიონის ნიჩბისის სკოლის XI კლასის მოსწავლე **გარსევან პაპაშვილი** („ნიჩბისხევის ისტორიული ძეგლები“), სიღნაღის რაიონის მაღაროს საშუალო სკოლის მეათეკლასელი **მაია ვარსიმაშვილი** („წმინდა ნინოს მონასტერი“), გორის მე-9 სკოლის მეთერთმეტეკლასელი **გიორგი მთვარელიძე** („კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და ხალხური შემოქმედება“), თბილისის 25-ე ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მოსწავლეები **ზვიად ჯაყელი** („კომპლექსური რიცხვები, ალგებრის ძირითადი თეორემა“) და **გოდერძი ფრუიძე** („მაღალი ხარისხის ალგებრულ განტოლებათა ამოხსნა კომპლექსურ რიცხვთა სიმრავლეში“), ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მეთერთმეტეკლასელი



ბი **ირმა წივწივაძე** („ამოცანები, რომლებიც ზედმეტ მონაცემებს შეიცავენ“) და **კახაბერ ხიმშიაშვილი** („ქრისტიან-ჰიუგენის ერთ-ერთი ფორმულის შესახებ“), ახმეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელი **ირაკლი ქიბროწაშვილი** („ჩემი საამაყო ილტოს ხეობა“), თბილისის 126-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე **მაია მეუნარგია** (“გულის კუნთის ცილა p-55“) და თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი **მარიამ ნანობაშვილი** („ზოგიერთი შეხედულება ქრისტიანობაზე“).

ჩვენი ჟურნალი პერიოდულად მიმოიხილავს კონფერენციაზე გამარჯვებულ ნაშრომებს. ამჯერად გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს.

---

დებდა, ეს ნიშნავდა, რომ ხეს ბოროტი დაჯაბნიდა და ხატიც იქაურობას გაეცლებოდა.

ხეთამსახურების ეს კულტი უფრო ქრისტიანობის დროინდელია, რადგან ხატი, მისი რწმენა და, თუ გნებავთ, „ხატმებრძოლობაც“ მხოლოდ ქრისტიანულ სინამდვილეს ახასიათებს. წარმართული დროიდან მომდინარე ხეთა თაყვანისცემა კი ქრისტიანობამ თავის ქურაში გაატარა და ახალი წეს-ჩვეულებებით გაამდიდრა. წარმართულ წმინდა ხეებს ერთხანს დაუნდობლად ჰრიდნენ, რომ მათ ადგილას სამლოცველოები აღემართათ. მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგში გადაწყვიტეს, ისინიც ქრისტიანული რელიგიის მსახურებად ექციათ.

სამეგრელოში (სენაკში) იდგა ის დიდი მუხა —ჰყონდიდი, ანდრია მოციქულს რომ მოუჭრევინებია, ოდეს მან მეგრელნი მოაქცია. შემდგომში აქ მატვილის ეკლესიის ტრაპეზი გაიმართა. წმინდა მუხა აღარ არის, მაგრამ დღემდე შემოგვრჩა მისი სახელი, გაიხსენეთ გვარი — ჰყონია, აგრეთვე —დავით IV-ის აღმზრდელი და თანამებრძოლი, ლეგენდარული გიორგი ჰყონდიდელი. ისტორია იცნობს დიდი მოღვაწის ანტონ ჰყონდიდელის სახელსაც.

დაკვირვებული თვალი ხეთამსახურებაში გამოარჩევს წმინდა ხეებისადმი ორგვარ დამოკიდებულებას: როცა ხეებს —მუხას, ცაცხვს, ვაზს, ურთხელს, ფიჭვს, ჰადარსა და სხვ. — მორწმუნეები ეთაყვანებიან, როგორც ტაძარს და, როცა მათ გარკვეულწილად მიაწერენ მაგიურ თვისებებს.

ჭიათურის რაიონის სოფელ ბჟინავში დღემდე ცოცხლობს საუკუნოვანი წმინდა ცაცხვი, რომლის ახლოსაც დიდი საკულტო ქვა დევს. იქვე, შორიახლოს, მიწაში ქვევრები ჩაუყრიათ. ამ ცაცხვის ქვეშ დღესაც წმინდა საკლავი იკვლება. ასეთივე ცაცხვი დგას საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში, გულაძეების უბანში, ხოლო ამავე სოფელში, გოგიტაშვილებსა და წმინდა გიორგის ეკლესიას შორის ხალხი ახლაც მიუთითებს ადგილს, რომელსაც „ნახატიმუხევს“ ეძახის. ასეთი წმინდა ცაცხვია სამეგრელოში, ცაიშის მახლობლად, ერთ-ერთი სოფლის სასაფლაოზეც. ამ ცაცხვის ქვეშ მხოლოდ უდროოდ დაღუპულ ბავშვებს ასაფლავებენ.

არავინ იცის, როგორ განვითარდება ხეთამსახურების კულტი შემდგომ, მაგრამ ჯერჯერობით იგი ცოცხლობს ქართულ სინამდვილეში და, ამ რწმენის წყალობით, საქართველოში კვლავ ფეხზე დგას ათასობით უძველესი წმინდა ხე, არაერთი ხატის ტყე და ხატის მამული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტ-ცოტა ყველაფერზე...

## საკუთარი თავის ექიმი

ამერიკელმა მეცნიერმა ლარი კლარკმა დაადგინა, რომ შოშია თავის ბუდეს ათასფურცელას, ველური სტაფილოსა და სხვა ისეთი მცენარეების ღეროებითა და ფოთლებით აგებს, რომლებიც ტოქსიკურნი არიან ზოგიერთი ბაქტერიისა და მწერისათვის. ამით შოშია 80 პროცენტით იზღვევს თავს სხვადასხვა დაავადებისაგან.

## ქვის დანა

ნუ გეგონებათ, თითქოს არქეოლოგიურ აღმოჩენებზე ვაპირებდეთ საუბარს. იაპონურმა კომპანია „კიოსერიმ“, საწარმოო კერამიკის უდიდესმა მწარმოებელმა, გამოუშვა კერამიკული ნივთიერებისაგან დამზადებული დანები, რომლებიც ფოლადზე უფრო მტკიცეა. თუმცა ამას ძირითადად სარეკლამო ხასიათი აქვს: საწარმოო კერამიკის ეს სახეობა წარმატებით გამოიყენება კოსმოსურ ხომალდთა თბოიზოლაციისათვის, რადიოაქტიური ნარჩენების „დასასამარებლად“, მანქანათა ნაწილების დასამზადებლად და ა. შ.

## სოკო — ჩვენი ეკოლოგიური შანსი

„მოუარეთ სოკოს — იგი ჩვენ ტოქსიკური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში გვეხმარება!“ — ამ მოწოდებას სამოცი ქვეყნის ექვსასი მეცნიერი აწერს ხელს. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ სოკოები ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რადიოაქტიური და მომწამლავი ნივთიერებებისაგან გარემოს გასუფთავებაში. ეს „ბუნებრივი მტვერსასრუტები“ გაცილებით უფრო ინტენსიურად იწოვენ ნიადაგიდან ტოქსიკურ ნაერთებს, ვიდრე მცენარეები და ბაქტერიები.

## მიმოწერის საიდუმლო

თურქეთის კონსტიტუციის აშკარა დარღვევის მიუხედავად, სოფელ ბაზარ-კოიში მაინც ვერ ინახება მიმოწერის საიდუმლო. საქმე ისაა, რომ, ალაჰის ნებით, 42 ოჯახის უფროსს ერთი და იგივე სახელი — მუსტაფა ფეისალი ჰქვია. შეცდომის ასაცილებლად ფოსტალიონი (ისიც — მუსტაფა ფეისალი) ბაზრის მოედანზე შეკრებილ ხალხს ადრესატის გამოცხადებამდე ხმამაღლა უკითხავს წერილს. მაშინ მიმღები ყვირის: „საკმარისია, ჩემია“. თუ წერილი საინტერესო აღმოჩნდება, ხალხი მისი ხმამაღლა კითხვის გაგრძელებას მოითხოვს.

## ავტობუსს ჰგავს

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდის ქუჩებში დადის ომნიბუსი, რომელსაც კონსტრუქტორებმა ო-ბანი დაარქვეს. მანქანა ავტობუსს ჰგავს. ორი ბეტონის რელსი მიმართავს და აკონტროლებს ო-ბანის მოძრაობას, ეს კი გამორიცხავს საჭის ნაჭიროებას. თუმცა მას მაინც აქვს საჭე, რაც საშუალებას აძლევს, ჩვეულებრივ გზატკეცილზეც იმოძრაოს.



## მოიტა მილიონი!

კუნძულ სარდინიის სანაპიროზე გაშენებულია კურორტი, სადაც მხოლოდ მილიონერებს თუ შეუძლიათ დასვენება და დროს გატარება. საკურორტო კომპლექსის აშენება თითქმის ორი მილიარდი დოლარი დაჯდა. კურორტი კარგად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს ჰგავს — მტკიცე კედლები, მრავალრიცხოვანი დაცვა, სნაიპერები, კარატისტები... ერთკვირიანი დასვენება „სულ რაღაც“ 80 ათასი დოლარი ჯდება.

## ბენზინი... მზიდან

ამერიკელმა გამომგონებელმა მარკ ჰიბსონმა სენსაციური განცხადება გააკეთა: მამამისმა და მან გამოიგონეს ახალი საწვავი, რომელიც ჰაერს არ აბინძურებს.

ამ საწვავის დასამზადებლად იყენებენ ოთხმეტრიან რეფლექტორებს, რომლებიც აგროვებენ მზის ენერგიას. რეფლექტორი წყლისაგან წყალბადის გამოსაყოფად გამოიყენება; შემდეგ წყალბადი ქიმიურად უერთდება ნახშირორჟანგს (როგორ? ამაზე მამა-შვილი ჯერჯერობით დუმს) და ნახშირორჟანგიანი საწვავიც მზადაა. საწვავი მთლიანად და უკვამლოდ იწვის. გამომგონებელთა გამოანგარიშებით, თუ ამ რეფლექტორებს უდაბნოში 00 კვადრატული კილომეტრის ფართობზე განვალაგებთ, მათ შეუძლიათ სრულად დააკმაყოფილონ ამერიკელ მეავტომობილეთა მოთხოვნილება საწვავზე.

აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს ექსპერტთა აზრით, ჰიბსონების პროექტს დიდი მომავალი აქვს და მას კაცობრიობის გადარჩენაც შეუძლია.

## სტრადივარიუსის ახალი საიდუმლო

კემბრიჯის უნივერსიტეტის ქიმიკოსთა ჯგუფმა სტრადივარიუსის ვიოლინოს ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევისას ხის კორპუსსა და ლაქს შორის უცნობი ნივთიერება აღმოაჩინა, რომელიც ვულკანურ ფერფლში შემავალ ელემენტებს შეიცავდა. ასეთი ფერფლი იტალიის ქალაქ კრემონის მახლობლად გვხვდება. სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა გენიალური სტრადივარიუსი. შესაძლოა, რომ დიდი მაესტრო ამ ფერფლს რაღაც დამაკავშირებელ წებოვან ნივთიერებას ურევდა, ამზადებდა ნაერთს და შემდეგ ზედ ლაქს უსვამდა. ალბათ ამიტომაა, რომ მის ვიოლინოებს რაღაც განსაკუთრებული ჟღერადობა ჰქონდათ. მეცნიერები ჯერჯერობით ვერ ამტკიცებენ, რომ სტრადივარიუსის საიდუმლოს ახსნა შეძლეს, რადგან სხვა ინსტრუმენტების გამოკვლევის შედეგებს ელიან.

## ასტეროიდი — მკვლელი

მეცნიერთა აზრით, შორეულ წარსულში ჩვენს პლანეტასთან ასტეროიდის შეჯახებამ მნიშვნელოვნად შეაყოვნა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის პროცესი.

გამოირკვა რომ ისეთ ასტეროიდთან შეჯახებას, რომლის დიამეტრიც 420 კმ-ს აღწევდა, ხოლო სიჩქარე — წამში 6000 კმ-ს, იმდენი სითბოს გამოყოფა მოჰყვებოდა, რომელიც საკმარისი იქნებოდა მსოფლიო ოკეანის მთლიანად აორთქლებისათვის. ამის შედეგად ატმოსფერო გაჯერდებოდა გავარვარებული წყლის ორთქლით, რაც, უეჭველია, შეაფერხებდა სიცოცხლის წარმოშობას.



## ვის სურს თაიგული?

იაპონიაში თაიგულების გასაყიდი ავტომატები გამოჩნდა. თითოეულში 58 თაიგულია. გაუყიდავ ყვავილებს 8 დღეში ერთხელ ცვლიან. ახალ ავტომატებს, ძირითადად, სადგურებსა და აეროპორტებში აყენებენ.

ცოტ-ცოტა ყველაფერზე...

## რა ვიკითხოთ

## ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი



# პატარა უფლისწული

ნახატები — ავტორისა

თარგმნა გიორგი ჩიმაკაძემ

XVII

როცა მოსწრებული სიტყვა გინდა თქვა, ზოგჯერ უნებურად ტყუილიც უნდა მოიშველიო. აი, ახლაც, მეფარნეებზე რომ გიამბობდით, ცოტათი გადავაჭარბე კიდეც და ვინც საკმაოდ არ იცნობს ჩვენს პლანეტას, შეიძლება მცდარი წარმოდგენაც კი შეექმნას მასზე. ადამიანებს არც ისე დიდი ადგილი უჭირავთ დედამიწაზე. დედამიწის ორი მილიარდი მკვიდრი რომ ერთად შეგროვილიყო, ისე, როგორც ეს მიტინგებზე ხდება ხოლმე, თავისუფლად დაეტეოდა მოედანზე, რომელსაც ოცი მილის სიგრძე-სიგანე ექნებოდა. ამრიგად, შესაძლებელი გახდებოდა, მთელი კაცობრიობა წყნარი ოკეანის ერთ ყველაზე პატარა კუნძულზე მოგვეთავსებინა.

დიდები ამას, რა თქმა უნდა, არ დაგვიჯერებენ. მათ ჰგონიათ, რომ ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ დედამიწაზე. მათ თავიანთი თავი ბაობაბივით ბუმბერაზი ჰგონიათ. კარგი იქნებოდა, თუ ურჩევდით, ზუსტად გამოეანგარიშებინათ ყველაფერი. ეს რჩევა ეამებოდათ კიდეც. მათ ხომ ძალიან უყვართ ციფრები. თქვენ კი ამაოდ ნუ დაკარგავთ დროს, თქვენ ანგარიში არ გჭირდებათ, ისედაც გჯერათ ჩემი.

დედამიწაზე რომ დადგა ფეხი, პატარა უფლისწულს ძალიან გაუკვირდა, რომ ვერავინ დაინახა. ვაითუ სხვა პლანეტაზე მოვხვდიო, გაუელვა ფიქრმა, მაგრამ ამ დროს სილაში რაღაც დაგორგლილი შეირხა, რომელსაც მთვარის სხივის ფერი დაჰკრავდა.



დასასრული. დასაწყისი იხ. „ნაკადული" № 5, № 6.



— საღამო მშვიდობისა, — გაეხმიანა მას პატარა უფლისწული ყოველი შემთხვევისათვის.

— საღამო მშვიდობისა, — მიუგო გველმა.

— რომელ პლანეტაზე ჩამოვედი? — იკითხა პატარა უფლისწულმა.

— დედამიწაზე, — მიუგო გველმა. — აფრიკაში.

— ა!.. დედამიწაზე ადამიანი არ ცხოვრობს?

— ეს უდაბნოა, უდაბნოში კი არავინ ცხოვრობს. დედამიწა დიდია, — უთხრა გველმა.

პატარა უფლისწული ქვაზე ჩამოჯდა და ზეცას მიაპყრო თვალი.

— ნეტავ რატომ კიაფობენ ვარსკვლავები? — ჩაილაპარაკა მან. — ალბათ იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან ყველამ იპოვოს თავისი ვარსკვლავი. შეხედე, აი, ჩემი პლანეტა — იგი სწორედ ჩვენს ზემოთაა, მაგრამ რა შორსაა აქედან!

— ლამაზი პლანეტაა, — თქვა გველმა — რამ მოგიყვანა აქ?

— ყვავილს დავემდურე.

— ა!..

და ორთავენი დადუმდნენ.

— ადამიანები სად არიან? — ისევ იკითხა პატარა უფლისწულმა. — უდაბნოში, ცოტა არ იყოს, მარტოობაა.

— ადამიანთა შორისაც მარტოობაა, — მიუგო გველმა.

პატარა უფლისწული ყურადღებით დააცქერდა გველს.

— უცნაური არსება ხარ, — უთხრა მან ბოლოს, — თითივით წვრილი.

— სამაგიეროდ, მე მეფის თითებზე მეტი ძალა მაქვს, — მიუგო გველმა.

პატარა უფლისწულს გაეღიმა.

— არც ისე ღონიერი ჩანხარ... ფეხებიც კი არა გაქვს — მოგზაურობასაც კი ვერ შესძლებდი...

— მე შემიძლია, ყოველ ხომალდზე შორს წაგიყვანო, — უთხრა გველმა და ოქროს სამაჯურივით შემოეჭდო კოჭზე.

— ყველა სულდგმულს, რომელსაც კი შევეხები, მიწას ვუბრუნებ, რადგან ყველა მიწის შვილია, — თქვა მან, — მაგრამ შენ წმინდა ხარ და ვარსკვლავიდან მოფრენილი...

პატარა უფლისწულმა არაფერი უპასუხა.

— მებრალები, — განაგრძო გველმა. — მეტისმეტად უმწეო ხარ ამ დედამიწაზე, რომელიც გრანიტისაგან არის შექმნილი. როცა ძალიან ინანებ, რომ მიატოვე შენი პლანეტა, მე შემიძლია დაგეხმარო. მე შემიძლია...

— ო! მივხვდი, რისი თქმაცა გსურს, — უთხრა პატარა უფლისწულმა. — მაგრამ მუდამ იგავებით რატომ ლაპარაკობ?

— მე ყველა იგავის ამხსნელი ვარ, — თქვა გველმა.

და ორთავენი დადუმდნენ.

## XVIII

პატარა უფლისწულმა მთელი უდაბნო გადასერა და მხოლოდ ერთადერთ ყვავილს წააწყდა, სამფურცელა, პატარა ყვავილს.

— გამარჯობა, — უთხრა პატარა უფლისწულმა.

— გაგიმარჯოს, — მიუგო ყვავილმა.

— ადამიანები სად არიან? — თავაზიანად შეეკითხა პატარა უფლისწული.

ყვავილს მხოლოდ ერთხელ ენახა ქარავანი, რომელმაც შორიახლოს ჩაუარა.

— ადამიანები? ვფიქრობ, ექვსი თუ შვიდი ადამიანი არსებობს მხოლოდ. მე ისინი ამ რამდენიმე წლის წინათ დავინახე. მაგრამ არავინ იცის მათი ასავალ-დასავალი. ალბათ ქარი თუ ერეკება სადმე. მათ ხომ ფესვები არა აქვთ. უფესვოდ კი ძალიან ძნელია ცხოვრება.

— მშვიდობით, — უთხრა პატარა უფლისწულმა.

— მშვიდობით, — მიუგო ყვავილმა.

## XIX

შემდეგ პატარა უფლისწული ერთ მაღალ მთაზე ავიდა. მანამდე მას არასოდეს ენახა მთები, თავისი სამი



ვულკანის გარდა, რომლებიც მხოლოდ მუხლამდე წვდებოდა. ჩამქრალ ვულკანს კი სკამად ხმარობდა ხოლმე.

„ასეთი მაღალი მთიდან, — გაიფიქრა მან, — თვალის ერთი გადავლებით დავინახავ მთელ პლანეტას და ყველა ადამიანს..."

მაგრამ წაწვეტილი კლდეების გარდა ვერაფერი დაინახა.

— გამარჯობა, — წარმოთქვა მან ყოველი შემთხვევისთვის.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა... გამარჯობა... გამარჯობა... — გამოეხმაურა ექო.

— ვინა ხართ? — იკითხა პატარა უფლისწულმა.

— ვინა ხართ?.. ვინა ხართ?.. ვინა ხართ? — გაიმეორა ექომ.

— მიმეგობრეთ, მარტო ვარ ქვეყნად! — თქვა პატარა უფლისწულმა.

— მიმეგობრეთ, მარტო ვარ ქვეყნად!... მარტო ვარ ქვეყნად... — ჳვლავ გაიმეორა ექომ.

„რა უცნაური პლანეტაა! — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. — მთლად გამოფიტული წვეტიანი კლდეებით დაფარული და დაშაშრული. მის ბინადართ არაფრის მოფიქრების უნარი არ შესწევთ და მხოლოდ იმას იმეორებენ, რასაც ვინმე ეტყვით... ჩემი ყვავილი კი მუდამ თვითონ წამოიწყებდა საუბარს...“

XX

ბოლოს ქვიშრობზე, კლდე-ღრესა და თოვლში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ პატარა უფლისწული გზას წააწყდა. გზა კი მუდამ ადამიანების სადგომისაკენ მიემართება.

— გამარჯობა, — თქვა პატარა უფლისწულმა.

იგი ვარდებით მოფენილ ბაღს მისდგომოდა.

— გაგიმარჯოს,—მიუგეს ვარდებმა.

პატარა უფლისწული დააცქერდა მათ და შენიშნა, რომ ყველა ყვავილი მის ყვავილს ჰგავდა.

— ვინა ხართ? — შეეკითხა მათ



გაოგნებული პატარა უფლისწული.

— ჩვენ ვარდები ვართ, — მიუგეს ვარდებმა.

— საკვირველია... — აღმოხდა პატარა უფლისწულს.

და საშინელი სევდა შემოაწვა გულზე. მისი ყვავილი სულ იმას ეუბნებოდა, ჩემი მსგავსი არსად მოიძებნება მთელ ქვეყანაზეო. აქ კი, მხოლოდ ერთ ბაღში, ხუთი ათასი მისი მსგავსი ყვავილი ხარობდა!

„მას რომ ეს ვარდები დაენახა, ძალიან განაწყენდებოდა... — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. — საშინელ ხველას ატეხდა, ოღონდ კი სასაცილო არ გამხდარიყო, და მომაკვდავად მომაჩვენებდა თავს... მე კი იძულებული ვიქნებოდი, ისე დამეჭირა თავი, თითქოს სიკვდილისაგან ვიხსენი, თორემ ჯიბრით მართლაც მოკვდებოდა, რომ მე შევერცხვინე...“ — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა.

„მე მეგონა, რომ უმდიდრესი ადამიანი ვიყავი, რაკი ისეთი ყვავილი მქონდა, რომლის მაგვარი მეორე არ მოიძებნება ქვეყნად. მაგრამ თურმე ჩვეულებრივი ვარდის პატრონი ვყოფილვარ, ჩვეულებრივი ვარდისა და სამი ვულკანისა, რომლებიც მხოლოდ მუხლამდე მწვდებიან და რომელთაგან ერთი იქნებ სამუდამოდაა ჩამქრალი... ამ სამფლობელოს პატრონს დიდი უფლისწული არ მეთქმის...“

იგი მოლზე დაემხო და ატირდა.

XXI

ამ დროს მელია გამოჩნდა.

— გამარჯობა, — მიესალმა მელია პატარა უფლისწულს.

— გაგიმარჯოს, — თავაზიანად მიუგო პატარა უფლისწულმა და ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერაკინ დაინახა.

— მე აქა ვარ, — გაისმა ხმა, — ვაშლის ხის ძირას.

— ვინა ხარ? — შეეკითხა პატარა უფლისწული. — სანდომიანი იერი გაქვს.

— მე მელია ვარ, — მიუგო მელიამ.

— მოდი, მეთამაშე, — შესთავაზა პატარა უფლისწულმა. — ძალიან უბედური ვარ.

— შენთან თამაში არ შემიძლია, — მიუგო მელიამ, — მე მოუშინაურებელი მელია ვარ.

— მომიტევე, — უთხრა პატარა უფლისწულმა.

და მცირე ხნის ფიქრის შემდეგ დასძინა:

— რა არის „მოშინაურება“?

— შენ აქაური არ უნდა იყო, — უთხრა მელიამ. — რას დაეძებ აქ?

— ადამიანებს დავეძებ, — თქვა პატარა უფლისწულმა. — რა არის „მოშინაურება“?

— ადამიანებს, — თქვა მელიამ,



— თოფები აქვთ და ნადირობენ. ეს სახიფათო რამაა. მაგრამ მათ ქათმებიცა ჰყავთ. ამის გარდა, ისინი კარგს არაფერს აკეთებენ. ქათმებს ხომ არ დაეძებ?

— არა, — მიუგო პატარა უფლისწულმა. — მე მეგობრებს დავეძებ. რას ნიშნავს „მოშინაურება“?

— ეს ისეთი რამაა, რაც, დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა. იგი მიჩვევას ნიშნავს.

— მიჩვევას?

— სწორედ მაგას, — მიუგო მელიამ. — შენ ჩემთვის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი პატარა ბიჭი ხარ, ისეთივე, როგორიცაა ასი ათასი სხვა პატარა ბიჭი, და სრულებით არა მჭირდები. არც მე ვარ შენთვის საჭირო, შენთვის მე მხოლოდ ისეთი მელია ვარ, როგორიცაა ასი ათასი სხვა მელია. მაგრამ თუ მომიშინაურებ, ჩვენ საჭირონი გავხდებით ერთმანეთისთვის. შენ ერთადერთი იქნები ამ ქვეყნად ჩემთვის და მეც ერთადერთი ვიქნები შენთვის...

— მგონი, მიგიხვდი, — თქვა პატარა უფლისწულმა. — ერთ ყვავილს ვიცნობ... მან, მგონი, მომიშინაურა...

— შეიძლება, — მიუგო მელიამ. — რა არ ხდება ამ დედამიწაზე!

— ო, არა, ეს დედამიწაზე არ მომხდარა, — თქვა პატარა უფლისწულმა.

მელიას ცნობისმოყვარეობა და გაოცება დაეტყო.

— სხვა პლანეტაზე მოხდა?

— დიახ.

— მონადირეები თუ არიან იმ პლანეტაზე?

— არა.

— საინტერესოა! ქათმები?

— არა.

— სრულყოფილი არაფერია ქვეყნად, — ამოიოხრა მელიამ.

და ისევ დაუბრუნდა თავის იდეას:

— ერთფეროვანია ჩემი ცხოვრება, მე ქათმებზე ვნადირობ, ადამიანები ჩემზე ნადირობენ. ყველა ქათამი ერთმანეთსა ჰგავს და ყველა ადამიანი ერთმანეთსა ჰგავს. ცოტათი მომწყინდა, მაგრამ თუ შენ მომიშინაურებ, ჩემი ცხოვრება გაცისკროვნდება. შენი ნაბიჯის ხმას ყველა ნაბიჯის ხმაში გამოვარჩევ.



ახლა ნაბიჯების მოახლოებაზე სოროში ვიმალები. შენი ნაბიჯების ხმა კი სიმღერასავით ჩამესმება და სოროდან გამომიყვანს. ხედავ, იქ პურის ყანები რომ ბიბინებს? მე პურს არა ვჭამ. არც ხორბალი მჭირდება, პურის ყანა არაფერს მაგონებს. და ეს გულსა მწყვეტს! მაგრამ შენ ოქროსფერი თმა გაქვს. რა კარგი იქნება, რომ მომიშინაურებდე! მაშინ ეს ოქროსფერი ყანა შენს თავს მომაგონებს და მე მეყვარება ყანის შრიალი ქარში...

მელია დადუმდა და პატარა უფლისწულს მიაჩერდა.

— მომიშინაურე!.. — შეევედრა იგი უფლისწულს.

— სიამოვნებით მოგიშინაურებდი, — მიუგო პატარა უფლისწულმა, — მაგრამ ძალიან ცოტა დრო მაქვს. მეგობრები უნდა ვიპოვო და ბევრი რამ უნდა გავიგო.

— მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, ვისაც მოიშინაურებ, — თქვა მელიამ. — ახლა ადამიანებს დრო არა ჰყოფნით, რაიმე გაიგონ. ისინი მხოლოდ მზამზარეულ საგნებს ყიდულობენ მაღაზიებში, მაგრამ ქვეყნად არ მოიძებნება ისეთი მაღაზია, სადაც მეგობრის შეძენა შეიძლებოდეს. და ადამიანებსაც ველარ უპოვიათ მეგობარი. თუ მეგობარი გსურს, მე მომიშინაურე.

— როგორ უნდა მოგიშინაურო? — ჰკითხა პატარა უფლისწულმა.

— ამისთვის დიდი მოთმინებაა საჭირო, — მიუგო მელიამ. — ჯერ შორიახლოს დაჯდები მოლზე. აი, ასე. მე მალულად დაგიწყებ ცქერას. შენ კი ხმა არ უნდა ამოიღო. საუბარი ხშირად გაუგებრობის მიზეზია. მერე ყოველდღე უფრო და უფრო მომიახლოვდები.

მეორე დღეს პატარა უფლისწული ისევ მივიდა მელიასთან.

— უკეთესი იქნება, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მოხვიდე, — უთხრა მელიამ. — მაგალითად, თუ ყოველთვის ნაშუადღევის ოთხ საათზე მოხვალ, სამ საათზე უკვე ვიგრძნობ ბედნიერებას და რაც უფრო მოახლოვდება დანიშნული დრო, მით უფრო მომემატება ხალისი. ოთხ საათზე კი მღელვარება და მოუსვენრობა შემიპყრობს და შევიცნობ ბედნიერების ფასს! მაგრამ თუ შენ სხვადასხვა დროს მოხვალ, აღარ მეცოდინება, როდისთვის მოვამზადო გული შენს შესახვედრად. აქ ერთგვარი რიტუალის დაცვაა საჭირო.

— რიტუალი რა არის? — შეეკითხა პატარა უფლისწული.

— ესეც ისეთი რამაა, რაც, დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა, — მიუგო მელიამ. — რიტუალი განასხვავებს ერთ დღეს დანარჩენი დღეებისაგან, ერთ საათს — დანარჩენი საათებისაგან. მაგალითად, აქაურ მონადირეებს ასეთი რიტუალი აქვთ: ხუთშაბათობით სოფლის გოგოებთან ცეკვავენ ხოლმე. დიდებული დღეა ხუთშაბათი! ამ დღეს ზვრებამდეც კი შემიძლია გავისეირნო. მონადირეები რომ ყოველთვის ცეკვავდნენ, მაშინ ყველა დღე ერთნაირი იქნებოდა და ვერასოდეს მოვითქვამდი სულს.

●

ასე მოიშინაურა პატარა უფლისწულმა მელია. მაგრამ დადგა განშორების დღე.

— ო!.. — ამოიოხრა მელიამ. — შენ რომ არ მეყოლები, ვიტირებ.

— შენი ბრალია, — უთხრა პატარა უფლისწულმა — მე ცუდი არაფერი მინდოდა შენთვის. შენ თვითონ მოინდომე, რომ მომეშინაურებინე...

— მართალია, — თქვა მელიამ.

— ახლა კი უნდა იტირო!

— მართალია.

— მერე და, რა მოიგე?

— დიახაც მოვიგე, — მიუგო მელიამ. — მოიგონე, რა გითხარი ოქროსფერ თავთავებზე.

და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დასძინა:

— წადი, ერთხელ კიდევ ინახულე ვარდები და დარწმუნდები, რომ შენი ვარდი ერთადერთია ქვეყნად. გამოსამშვიდობებლად რომ მობრუნდები ჩემთან, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ და ჩემი საჩუქარიც ეს იქნება.

●

პატარა უფლისწული ვარდებისაკენ გაემართა.

— თქვენ სრულებით არ გავხართ ჩემს ვარდს, — უთხრა მათ პატარა უფლისწულმა, — თქვენ ჯერ არარანი ხართ. თქვენ ჯერ არავის მოუშინაურებიხართ და არც თქვენ მოგიშინაურებიათ ვინმე. თქვენ სწორედ ისეთები ხართ, როგორიც იყო ჩემი მელია, როდესაც მე პირველად შევხვდი მას. იგი არაფრით



გამოირჩეოდა ასი ათასი სხვა მელიისაგან. მაგრამ მე იგი დავიმეგობრე და ახლა იგი ერთადერთია ქვეყნად.

ყვავილებმა ეს სიტყვები ძალიან ითაკილეს.

— თქვენ მშვენიერნი ხართ, მაგრამ ცარიელნი. — განაგრძო უფლისწულმა, — არავინ გასწირავს თქვენთვის თავს. ჩვეულებრივი გამვლელი, რა თქმა უნდა, იტყვის, რომ ჩემი ვარდი თქვენისთანაა. მაგრამ იგი ყველა ვარდზე ძვირფასია ჩემთვის, რადგან მას ვრწყავდი ყო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ველდლე, მას ვახურავდი მინის სარქველს, მას ვაფარებდი თეჯირს, რომ ქარს არ შეეწუხებინა. მისი გულისთვის ვხოცავდი მუხლუხებს (თუმცა ორი თუ სამი მუხლუხი არ მოვკალი და ისინი პეპლებისთვის დავტოვე) და მხოლოდ მას ვუსმენდი, როცა იგი საყვედურებს მეუბნებოდა ან ტრაბახობდა. ზოგჯერ მაშინაც კი ვუსმენდი, როცა დუმდა ხოლმე, იმიტომ, რომ იგი ჩემი ვარდია.

და პატარა უფლისწული მელიასთან დაბრუნდა.

— მშვიდობით... — უთხრა მან მელიას.

— მშვიდობით, — მიუგო მელიამ. — აი, ჩემი საიდუმლოც. იგი ძალიან უბრალოა: მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალს არ ძალუძს, დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი.

— თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი, — გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რომ კარგად დაემახსოვრებინა ნათქვამი.

— თავს რომ ევლებოდი შენს ვარდს, იმიტომაა იგი ასე ძვირფასი შენთვის.

— თავს რომ ვევლებოდი ჩემს ვარდს... — გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რომ კარგად დაემახსოვრებინა ნათქვამი.

— ადამიანებმა დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება, — თქვა მელიამ, — მაგრამ შენ არ უნდა დაივიწყო იგი. შენ ვალდებული ხარ, იზრუნო იმაზე, ვინც მოიშინაურე. ვალდებული ხარ, იზრუნო შენს ვარდზე.

— ვალდებული ვარ, ვიზრუნო ჩემს ვარდზე... — გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რომ კარგად დაემახსოვრებინა ნათქვამი.

## XXII

— გამარჯობა, — თქვა პატარა უფლისწულმა.

— გაგიმარჯოს, — მიუგო მეისრემ.

— რას აკეთებ აქ? — შეეკითხა პატარა უფლისწული.

— მგზავრებს ვანაწილებ, — მიუგო მეისრემ, — ათას-ათას კაცად ვაჯგუფებ და ხან მარჯვნივ ვისტუმრებ და ხან — მარცხნივ.

ამ დროს ისეთი გრუხუნით ჩამოიქროლა გაკაშკაშებულმა ჩქარმა მატარებელმა, რომ მეისრის ჯიხური შეაზანზარა.

— სად მიჰქრიან?! — იკითხა პატარა უფლისწულმა. — რას დაეძებენ?

— ეს თვითონ მემანქანემაც არ იცის, — მიუგო მეისრემ.

ახლა მეორე გაკაშკაშებულმა ჩქარმა მატარებელმა ჩაიგრუხუნა მეორე მიმართულებით.

— უკვე გამობრუნდნენ უკან? — იკითხა პატარა უფლისწულმა.

— ესენი სხვა მგზავრები არიან, — მიუგო მეისრემ.

— არ მოსწონთ ის ადგილი, სადაც აქამდე ცხოვრობდნენ?

— არავის მოსწონს ის ადგილი, სადაც ცხოვრობს, — მიუგო მეისრემ.

ამასობაში მესამე ჩქარმა მატარებელმა ჩამოიქროლა.

— ესენი პირველი მატარებლის მგზავრებს მისდევენ? — იკითხა პატარა უფლისწულმა.

— არავის არ მისდევენ, — მიუგო მეისრემ. — მათ ვაგონებში სძინავთ ან სხედან და ამთქნარებენ. მარტო ბავშვები არ შორდებიან ფანჯრებს და ცხვირი სარკმლის მინაზე აქვთ მიჭყლეტილი.

— მარტო ბავშვებმა იციან, რასაც დაეძებენ, — თქვა პატარა უფლისწულმა. — ისინი თავს ევლებიან ჭინჭის თოჯინას და ამიტომაა იგი ასე ძვირფასი მათთვის. და თუ ვინმემ მათ თოჯინა წაართვა, მწარედ ტირიან.

— ისინი ბედნიერები არიან, — თქვა მეისრემ.

## XXIII

— გამარჯობა, — თქვა პატარა უფლისწულმა.

— გაგიმარჯოს, — მიუგო ვაჭარმა.

ეს იყო წყურვილის მომკლელი აბებით მოვაჭრე. საკმარისია, ერთი ასეთი აბი გადაყლაპოს კაცმა და მთელი კვირა აღარ მოსწყურდება.

— რა საჭიროა ეს აბები? — შეეკითხა მას პატარა უფლისწული.

— იგი დროის დიდ ეკონომიას იძლევა, — მიუგო ვაჭარმა. — ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, რომ კვირაში შეიძლება ორმოცდაცამეტი წუთი დაზოგო.

— მერე, რად უნდათ ეს ორმოცდაცამეტი წუთი?

— რაიმეში მოიხმარენ.

„მე რომ ორმოცდაცამეტი თავისუფალი წუთი მქონოდა, — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა, — ნელა გავისეირნებდი წყაროსაკენ..."

## XXIV

უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც ამ უდაბნოში მარცხი მომივიდა და სასმელი წყალიც სწორედ მაშინ გამომელია, როცა პატარა უფლისწული აბებით მოვაჭრის ამბავს მიყვებოდა.

— შენი თავგადასავალი მშვენიერია, — ვუთხარი პატარა უფლისწულს. — მაგრამ ხომ ხედავ, ჯერაც არ შემიკეთებია თვითმფრინავი, სასმელი წყალიც არა მაქვს და, მეც ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს, ნელა გავისეირნო წყაროსკენ.

— ჩემმა მეგობარმა მელიამ მითხრა, რომ...

— ჩემო კარგო ბიჭო, რა დროს მელიაა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ წყურვილით სიკვდილი გველის.

მან ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი და მომიგო:

— მეგობარი ყოველთვის კარგია, სიკვდილის წუთებშიაც კი. მე ძალიან კმაყოფილი ვარ მელიას მეგობრობით...

„წარმოდგენაც არა აქვს მოსალოდნელ საფრთხეზე, — გავიფიქრე მე. — მას ხომ არასოდეს გამოუცდია შიმშილი და წყურვილი. მისთვის მზის სხივიც კმარა..."

პატარა უფლისწულმა შემომხედა და ფიქრი გამაწყვეტინა:

— მეც მწყურია... — მითხრა მან. — წამოდი, ჭა მოვძებნოთ...

მე უიმედოდ ჩავიქნიე ხელი: რა აზრი ჰქონდა ალალბედზე ჭის ძებნას ამ თვალუწვდენელ უდაბნოში! მაგრამ მაინც გავუდექით გზას.

დიდხანს ვიარეთ ხმაამოუღებლივ. დაღამდა. ცაზე ვარსკვლავები აენთნენ. წყურვილით ღონემიხდილი და გაოგნებული ძლივსღა ვარჩევდი ვარსკვლავების ციმციმს. პატარა უფლისწულის სიტყვები მაინც მიტრიალებდა თავში.

— შენც იცი, რა არის წყურვილი? — შევეკითხე მე, მაგრამ მან პასუხი არ გამცა.

— წყალი გულსაც რგებს... — თქვა უბრალოდ.

მე ვერ გავუგე, მაგრამ აღარაფერი ვკითხე... კარგად ვიცოდი, რომ კითხვებზე პასუხს ადვილად არ გამცემდა.

იგი დაიღალა და სილაზე დაეშვა. მე გვერდით მივუჯექი. კარგა ხანს ვდუმდით. მერე კი თქვა:

— ლამაზია ვარსკვლავები, მეტადრე იმიტომ, რომ იქ, სადღაც, ერთი ყვავილი ხარობს, რომელიც აქედან არა ჩანს...

— მართალი ხარ, — მივუგე მე და თვალი მოვავლე მთვარის შუქით განათებულ დატალღულ ქვიშას.

— უდაბნოც ლამაზია, — დასძინა მან.

მართლაც ლამაზი სანახავი იყო უდაბნო. მე ყოველთვის მომწონდა იგი. ზიხარ სილის ბორცვზე. ირგვლივ არაფერი ჩანს. არაფერი ის-

მის. და მდუმარებაში მაინც ანათებს რაღაც...

— იცი, რატომაა უდაბნო ასეთი ლამაზი? — თქვა პატარა უფლისწულმა. — იმიტომ, რომ სადღაც, მის წიაღში, წყარო იმალება.

მე გავოცდი. მხოლოდ ახლა მივხვდი, რას მოასწავებდა ის იდუმალი ელვარება, უდაბნოს სილა რომ გამოსცემს ხოლმე. ოდესღაც, პატარა რომ ვიყავი, ერთ ძველისძველ სახლში ვცხოვრობდი. ხალხში ხმა დადიოდა, ამ სახლში განძია დაფარულიო. ის განძი, რა თქმა უნდა, არავის უპოვნია, და ალბათ არც არავის უძებნია, მაგრამ სახლი გრძნეულებით იყო მოცული, თითქოს გულში რაღაც საიდუმლო აქვს ჩამარხულიო...

— მართალი ხარ, — მივუგე მე პატარა უფლისწულს. — სახლი იქნება, ვარსკვლავები თუ უდაბნო, ლამაზი მათში ის არის, რაც არა ჩანს.

— მიხარია, რომ ჩემს მელიას ეთანხმები, — მითხრა პატარა უფლისწულმა.

მერე კი ჩაეძინა. მე ხელში ავიყვანე იგი და გზა განვაგრძე. აღელვებული დავყურებდი მას. ასე მეგონა, თითქოს უძვირფასესი განძი მეჭირა ხელში და მასზე სათუთი არაფერი იყო ქვეყნად. დავცქეროდი მთვარის შუქით განათებულ ფერმკრთალ შუბლს, მინაბულ თვალებს და ოქროსფერ კულულებს, რომლებსაც ქარი ელამუნებოდა, და ჩემს თავს ვეუბნებოდი: რასაც ახლა ხედავ, ნაჭუჭია მხოლოდ, ყველაზე მთავარს თვალი ვერ ხედავს-მეთქი.

უფლისწულს ოდნავ გაპობილ ბაგეზე წყნარი ღიმილი გადაეფინა.

„ის, რაც ყველაზე უფრო დიდ აღტაცებას მგვრის, — გავიფიქრე მე, — არის მისი ერთგულება ყვავილისადმი, ვარდზე ოცნება, რომელიც ჩირაღდანივით ანთია მის სულში მაშინაც კი, როცა სძინავს..." და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ იგი უფრო სათუთი იყო, ვიდრე მეგონა, მივხვდი, რომ ჩირაღდანს უნდა გაუფრთხილდე, თორემ ქარის ერთ შემოქროლვას შეუძლია, ჩააქროს იგი.



ასე ვიარე, ვიდრე განთიადისას ჭას არ წავაწყდი.

## XXV

— ადამიანები, — თქვა პატარა უფლისწულმა, — ჩქარი მატარებლებით დაქრიან, მაგრამ თვითონაც



არ იციან, რას დაეძებენ. ამიტომაა, რომ მოსვენება დაუკარგავთ და აქეთ-იქით აწყდებიან.

— მაგრამ ამაოდ... — დასძინა შემდეგ.

ჭა, რომელსაც ჩვენ მივაგენით, არ ჰგავდა უდაბნოს ჭას. ჩვეულებრივად, საჰარის უდაბნოს ჭა სილაში ამოთხრილი ორმოა, ეს კი ნამდვილი სოფლური ჭა იყო. მაგრამ ახლომახლო სოფელი არ ჩანდა და თავი სიზმარში მეგონა.

— უცნაურია, — ვუთხარი პატარა უფლისწულს, — ყველაფერი თავის ადგილზეა — გორგოლაჭი, ვედროცა და თოკიც...

მან გაიცინა, ჭასთან მივიდა, თოკი აიღო და გორგოლაჭი დაატრიალა. გორგოლაჭი ისე აჭრიალდა, როგორც ძველისძველი, უქმად დიდხანს ჩაყანგებული ფლუგერი.

— გესმის? — თქვა პატარა უფლისწულმა. — ჩვენ გავაღვიძეთ იგი და ისიც ამღერდა...

არ მინდოდა, რომ იგი დაღლილიყო:

— მე ამოვიღებ, — ვუთხარი უფლისწულს. — შენთვის ეს ვედრო ძალიან მძიმეა.

ნელა ამოვიღე წყლით სავსე ვედრო და ჭის გვიმზე დავდგი. ჯერ კიდევ მესმოდა გორგოლაჭის ჭრიალი, ჯერ კიდევ ტოკავდა ვედროში წყალი და მის ზედაპირზე მზის შუქი ლივლივებდა.

— ეს წყალი მწყუროდა, — თქვა პატარა უფლისწულმა. — დამალევინე.

და მხოლოდ ახლა მივხვდი, რასაც დაეძებდა იგი!

ვედრო ტუჩებთან მივუტანე. მან თვალები მოხუჭა და წყალს დაეწაფა. მაგრამ ეს ჩვეულებრივი სასმელი წყალი არ იყო. ეს წყალი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ გადალახულმა გრძელმა გზამ, გორგოლაჭის ჭრიალმა და ჩემი ხელების ძალამ დაბადა და ახლა საჩუქარივით ეფინებოდა გულს.

ბავშვობისას ასე მახარებდა ხოლმე საშობაო საჩუქრები: სანთლების ციმციმი შობის ხეზე, შუაღამის წირვის მუსიკა და ადამიანების ალერსიანი ღიმილი.

— შენი პლანეტის ადამიანებს, — მითხრა პატარა უფლისწულმა, — ერთ ბაღში ხუთი ათასი ვარდი აქვთ... მაგრამ მაინც ვერ პოულობენ იმას, რასაც დაეძებენ.

— ვერ პოულობენ... — დავუდასტურე მე.

— ხოლო ის, რასაც ისინი დაეძებენ, შეიძლება ერთადერთ ვარდში ან ერთ ყლუპ წყალში იპოვოს კაცმა.

— მართალია, — ისევ მივუგე მე.

— მაგრამ თვალი ბრმაა. ადამიანი გულით უნდა ხედავდეს...

მე წყალი შევსვი და შვებით ამოვისუნთქე, განთიადისას უდაბნოს ქვიშას თაფლის ფერი დაჰკრავს და ამ ფერის ცქერაც ბედნიერებას მგვრიდა. ან კი რა მქონდა სადარდებელი?

— დანაპირები უნდა შემისრულო, — წყნარად მითხრა პატარა უფლისწულმა.

— რა დანაპირები?

— ხომ გახსოვს, პირსაკრავს რომ შემპირდი ჩემი ბატკნისათვის... ხომ უნდა ვიზრუნო ჩემს ყვავილზე!

ჯიბიდან ჩემი ჩანახატები ამოვიღე. პატარა უფლისწულმა გადაათვალიერა ისინი, გაიცინა და თქვა:

— შენი ბაობაბი ცოტათი კომბოსტოს მიაგავს...

— ო?!

მე კი ისე ვამაყობდი ჩემი ბაობაბებით!

— შენს მელიას კი ყურები რქებს მიუგავს... ძალიან გრძელი ყურებია.

და მან კვლავ გაიცინა.

— შენ მე უსამართლოდ მექცევი, ჩემო კარგო ბიჭო. მე ხომ არაფრის ხატვა არ ვიცოდი, გარდა მახრჩობელა გველისა გარედან და მახრჩობელა გველისა შიგნიდან.

— არა უშავს, — დამამშვიდა მან. — ბავშვები მაინც მიხვდებიან.

მე პირსაკრავი დავუხატე ბატკნისათვის. ნახატი რომ გავუწოდე, ეჭვმა გამკენწლა.

— შენ რაღაცას აპირებ და არ მიმხელ...

მაგრამ მან პასუხი არ გამცა, მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ხვალ წელიწადი შესრულდება, რაც დედამიწაზე ჩამოვვარდი.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა:

— ის ადგილი ძალიან ახლოა...

და სახე წამოუფაკლდა. ისევ შემომაწვა გულზე უცნაური სევდა და შევეკითხე:

— მაშ, ამ ერთი კვირის წინათ, პირველად რომ დაგინახე, შემთხვევით არ დაეხეტებოდი მარტოდმარტო ამ უდაბნოში? იმ ადგილას ბრუნდებოდი, სადაც მაშინ ჩამოვარდი?

მას ისევ წამოუფაკლდა სახე.

— წელიწადი რომ შესრულდა, იმიტომ? — გაუბედავად დავძინე.

პატარა უფლისწული კვლავ წამოჭარხლდა. იგი არასოდეს მაძლევდა კითხვაზე პასუხს, მაგრამ განა გაწითლება დასტურს არ ნიშნავს?

— ვაი თუ... — მაგრამ პატარა უფლისწულმა სიტყვა გამაწყვეტინა:

— დროა, შენს საქმეს შეუდგე. მანქანას მიხედე. მე აქ დაგელოდები. ხვალ საღამოს მოდი...

მაგრამ ამან ვერ დამამშვიდა. მელიას ნათქვამი მაგონდებოდა —, რაკი ვინმეს მოაშინაურებინებ თავს, ცრემლიც უნდა ღვარო.

## XXVI

ჭასთან ქვის ძველი კედლის ნანგრევები იყო. მეორე დღეს, მუშაობა რომ მოვათავე და დავბრუნდი, შორიდანვე მოვკარი თვალი პატარა უფლისწულს, იგი კედელზე იჯდა და შორიდანვე შემომესმა მისი ხმა.

— ნუთუ არ გახსოვს? — ეუბნებოდა იგი ვიღაცას. — ეს აქ არ იყო...

ალბათ ვიღაც შეეპასუხა, რადგან მან ისევ გაიმეორა:

— დიახ, დიახ, სწორედ დღევანდელ დღეს, მაგრამ აქ არა...

ნაბიჯს ავუჩქარე. კედელთან არავინ ჩანდა და არც ხმა ისმოდა. პატარა უფლისწული კი ისევ უმტკიცებდა ვიღაცას:

— რა თქმა უნდა. შენ შენიშნავ, სად იწყება ჩემი ნაფეხურები სილაზე და იქ დამელოდები. ამაღამ მოვალ.

ახლა მხოლოდ ოციოდე მეტრი მაშორებდა კედელს, მაგრამ მაინც ვერაფერს ვხედავდი.



მცირე ხნის დუმილის შემდეგ პატარა უფლისწულმა იკითხა:

— კარგი შხამი გაქვს? დარწმუნებული ხარ, რომ დიდხანს არ მაწამებს?

თავზარდაცემული ადგილზე გავქვავდი. მაგრამ ჯერ კიდევ ვერაფერს მივმხვდარიყავი.

— ახლა კი წადი, თქვა პატარა უფლისწულმა, — ძირს უნდა ჩამოვიდე.

დაბლა დავიხედე და თოფნაკრავივით შევხტი. კედლის ძირას მოყვითალო გველი დავინახე, რომელსაც თავი პატარა უფლისწულისაკენ აეღირა. ასეთი გველის შხამი ნახევარ წუთში ჰკლავს ადამიანს.

სწრაფად წავიღე ხელი ჯიბისაკენ, სადაც რევოლვერი მედო და გველისკენ გავექანე. მაგრამ ჩემი ფეხის ხმაზე იგი წყნარად გასრიალდა სილაზე წყაროს ნაკადულივით და აუჩქარებლად მიიმალა ქვებში ლითონისებური მსუბუქი წკრიალით.

კედლისკენ გავიქეცი და ხელში ავიტაცე ჩემი პატარა უფლისწული. მას თოვლის ფერი ედო.

— ეს რა ამბავია? გველებს ელაპარაკები?

სწრაფად შემოვხსენი ოქროსფერი ყელსახვევი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. შემდეგ საფეთქლები დავუნამე და წყალი შევასვი. ვერ ვბედავდი, რაიმე მეკითხა. მან დაფიქრებით შემომხედა და კისერზე მომხვია ხელები. გული ნატყვიარი ფრინველივით უცემდა.

— მიხარია, მანქანა რომ შეგიკეთებია. ახლა შეგიძლია, დაბრუნდე შინ...

— საიდან იცი?

სწორედ ის იყო, უნდა მეთქვა, ბედმა გამიღიმა და თვითმფრინავი შევაკეთე-მეთქი.

მან პასუხი არ გამცა და განაგრძო:

— დღეს მეც დავბრუნდები შინ... — თქვა მან.

მერე კი ნაღვლიანად დასძინა:

— ოღონდ ჩემი გზა უფრო შორია და უფრო ძნელი...

ვგრძნობდი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. ჩვილი ბავშვივით მივიხუტე იგი მკერდზე, მაგრამ ასე მეგონა, თითქოს ხელიდან მისხლტებოდა და უფსკრულში ვარდებოდა, მე კი ძალა არ შემწევდა, შემეკავებინა...

იგი ჩაფიქრებული გასცქეროდა სივრცეს...

— მე მყავს შენი ბატკანი, მაქვს მისთვის ყუთი და პირსაკრავი.

და ნაღვლიანად გაეღიმა.

დიდხანს ვიდექი ასე. ვგრძნობდი,

რომ იგი ნელ-ნელა იკრებდა ძალ-ღონეს.

— ჩემო პატარა ბიჭო, შენ შეშინებული ხარ.

რაღა თქმა უნდა, შეშინებული იყო, მაგრამ მან წყნარად გაიცინა:

— ამ საღამოს უფრო შემეშინდება...

უბედურების წინათგრძნობა სისხლს მიყინავდა. ვერ შევრიგებოდი იმ აზრს, რომ ამიერიდან ვეღარასოდეს გავიგონებდი მის სიცილს, რომელიც ისევე საჭირო იყო ჩემთვის, როგორც წყარო უდაბნოში.

— ჩემო კარგო ბიჭო, ერთხელ კიდევ გამაგონე შენი სიცილი...

— ამაღამ წლისთავი შესრულდება, — მითხრა მან. — ამაღამ ჩემი ვარსკვლავი სწორედ იმ ადგილას იქნება, საიდანაც შარშან დავეშვი.

— ჩემო კარგო ბიჭო, ხომ მართალია, რომ გველის, პაემანისა და ვარსკვლავის ამბავი ცუდი სიზმარია მხოლოდ?..

მან პასუხი არ გამცა.

— რაც მთავარია, ის არა ჩანს... — თქვა მან.

— მართალი ხარ.

— ისევე, როგორც ყვავილი. თუ ყვავილი გიყვარს, რომელიც სადღაც ვარსკვლავზე ხარობს, სიხარულით შესცქერი ღამით ცას და ყველა ვარსკვლავი ჰყვავის შენთვის...

— მართალი ხარ...

— ან კიდევ წყალი. შენ რომ წყალი დამალევინე, იგი მუსიკას ჰგავდა იმ გორგოლაჭისა და თოკის წყალობით... გახსოვს, რა გემრიელი იყო?..

— მართალი ხარ...

— ღამღამობით შენ ვარსკვლავებს შეხედავ ხოლმე. ჩემი ვარსკვლავი ისე პატარაა, რომ არ შემიძლია, დაგანახო. თუმცა ასე სჯობს. იგი შენთვის მხოლოდ ერთ-ერთი ვარსკვლავი იქნება ვარსკვლავთა შორის და შენ გეყვარება ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ყველა ვარსკვლავი შენი მეგობარი იქნება... და კიდევ ერთი რამ უნდა გაჩუქო.

და მან ისევ გადაიკისკისა.



— ჩემო კარგო ბიჭო. ჩემო პატარა უფლისწულო, რომ იცოდე, როგორ მიყვარს შენი სიცილი!

— ჩემი საჩუქარიც ეს არის... როგორც ის წყალი. შენ რომ შემასვი.

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა.

— ყველას თავისი ვარსკვლავები ჰყავს, მაგრამ ეს ვარსკვლავები სხვადასხვანაირია. ზოგისთვის მაგალითად, მოგზაურისთვის — ვარსკვლავები მეგზურებია. სხვებისთვის — მხოლოდ მოციმციმე სინათლეებია ცაზე. სწავლულთათვის ვარსკვლავები პრობლემაა, იმ საქმოსნისთვის კი — ოქრო იყო. მაგრამ ესენი მდუმარე ვარსკვლავებია. შენ კი ისეთი ვარსკვლავების მფლობელი იქნები, რომელთა მსგავსი არავისა ჰყავს.

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა!

— როცა ღამით ზეცას ახედავ, ყველა ვარსკვლავი შემოგცინებს, რადგან გეცოდინება, რომ ერთ-ერთ მათგანზე მე ვცხოვრობ და ვიცინი. მხოლოდ შენ გეყოლება ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც იცინიან.

და მან კვლავ გაიცინა.

— და როცა გამომიგლოვებ (გამოუგლოვებელი არაფერია ქვეყნად), კმაყოფილი იქნები, რომ მიცნობდი. შენ მუდამ ჩემი მეგობარი იქნები და მუდამ იცინებ ჩემთან ერთად. ფანჯარას რომ გამოაღებ და ცას ახედავ, სიხარული მოგეფინება... შენს მეგობრებს გაუკვირდებათ, როცა დაინახავენ, როგორ შესცინი ცას. „მე ყოველთვის შევხარი ვარსკვლავებს!“ — ეტყვი შენ მათ და ისინი იფიქრებენ, რომ შეიშალე. აი, რა ცუდ საქმეს გიპირებ.

და მან კვლავ გაიცინა.

— ვარსკვლავების ნაცვლად შენთვის თითქოს ურიცხვი პაწია ეჟვნები მეჩუქებინოს, რომლებმაც სიცილი იციან.

და მან ისევ გადაიკისკისა. შემდეგ კი კვლავ სერიოზული იერი მიიღო.

— ამაღამ... იცი, რა... ნუ მოხვალ...

— მე შენ არ მოგშორდები.

— მე ალბათ გატანჯული სახე მექნება... ალბათ ცოტათი მომაკვდავისაც... ნუ მოხვალ, არ არის საჭირო ამის ნახვა...

— მე შენ არ მოგშორდები.

იგი შეწუხდა.

— ამას გველის გამო გეუბნები... უცებ შენც არ დაგგესლოს... გველი ბოროტია. უხარია, ვინმეს რომ უკბენს.

— მე შენ არ მოგშორდები.

მერე კი უცებ დამშვიდდა.

— მართლა! მას ხომ შხამი აღარ



ექნება, რომ მეორედ დაგესლოს ვინმე.

●

იმ ღამეს ვერც კი შევნიშნე, როგორ წავიდა. ჩუმად გაპარულიყო. რომ დავეწიე, მტკიცედ და სწრაფად მიაბიჯებდა.

— შენც აქ ხარ, — თქვა მან და ხელი ჩამკიდა. ისევ შეწუხებული ჩანდა. — ტყუილად მომყვები. დაიტანჯები. მოგეჩვენება, თითქოს ვკვდები, მაგრამ ეს მართალი არ იქნება...

მე ვდუმდი.

— ხომ იცი... ეს ძალიან შორსაა. არ შემიძლია, თან წავიღო ეს სხეული, ძალიან მძიმეა.

მე ვდუმდი.

— მაგრამ იგი ძველი, მიტოვებული ნაჭუჭი იქნება მხოლოდ, ძველი ნაჭუჭი კი რა დასანანია...

მე ვდუმდი.

იგი ცოტათი შეშინებული იყო. მაგრამ ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე.

— მეც შევხედავ ხოლმე ღამღამობით ვარსკვლავებს, და ყველა ვარსკვლავი ჭრიალა გორგოლაჭიან ჭად იქცევა, ყველა ვარსკვლავი სასმელ წყალს მომაწვდის...

მე ვდუმდი.

— ხომ კარგია? შენ ხუთასი მილიონი ეჟვანი გექნება, მე კი ხუთასი მილიონი წყარო...

მეტი ვეღარაფერი თქვა, რადგან ტიროდა...

— აი, ადგილიც. ერთი ნაბიჯი გადამადგმევინე მარტოს.

და ჩაიკეცა, რადგან ფეხზე დგომა აღარ შეეძლო.

— ხომ იცი... ჩემი ყვავილი... მე უნდა ვიზრუნო მასზე! იგი ხომ ისეთი სუსტი და ისეთი გულუბრყვილოა... ოთხი საცოდავი ეკლის გარდა არაფერი აქვს, რომ თავი დაიცვას...

მეც მომეკვეთა მუხლები და ჩავიკეცე.

— სულ ეს არის... — თქვა მან.

ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა. შემდეგ წამოდგა და ერთი ნაბიჯი გადადგა მხოლოდ.

მე განძრევაც აღარ შემეძლო

უცებ მის ფეხებთან ყვითლად გაიელვა რაღაცამ. პატარა უფლისწული ერთ წამს უძრავად იდგა, არ დაუკვნესია. მერე კი ნელა წაიქცა.

XXVII

მას შემდეგ ექვსმა წელმა განვლო... მე არავისთვის მიამბნია ეს ამბავი, ჩემს ამხანაგებს უხაროდათ, უვნებლად რომ დავბრუნდი უდაბნოდან. მე ძალიან მიმძიმდა, მაგრამ ამხანაგებს ვეუბნებოდი, დავიღალე-მეთქი...

მერე კი ცოტათი დავმშვიდდი, თუმცა ამას დამშვიდება არ ეთქმის...

ეს ამბავი დიდი საიდუმლოებითაა მოცული. ჩემთვის, ისევე როგორც თქვენთვის, ვისაც პატარა უფლისწული გიყვართ, მთელი ქვეყანა შეიცვლება, თუ სადღაც, სამყაროს რომელიღაც უხილავ მხარეში ბატკანმა, რომელიც თვალით არ გვინახავს, ვარდი შეჭამა.

ახედეთ ზეცას და იკითხეთ: „შეჭამა ვარდი ბატკანმა თუ არა?“ და დაინახავთ, როგორ შეიცვლება ყველაფერი...

მაგრამ დიდები ვერასოდეს მიხვდებიან, რამოდენა რამაა ეს!



მე მწამს, რომ იგი დაბრუნდა თავის პლანეტაზე, რადგან, რომ ინათა, მისი სხეული ვერსად ვიპოვე. ის ხომ არც ისე მძიმე იყო... ღამღამობით კი ვარსკვლავებს ვუსმენ ხოლმე. თითქოს ხუთასი მილიონი ეჟვანი წკრიალებს ციდან...

მაგრამ ერთი რამ მაშფოთებს: როცა ბატკნისთვის პირსაკრავს ვუხატავდი, თასმის დახატვა დამავიწყდა! უთასმოდ კი პატარა უფლისწული პირს ვერ აუკრავს ბატკანს და ახლა ჩემს თავს ვეკითხები: „რა ამბავია ახლა მის პლანეტაზე? ხომ არ შეჭამა ბატკანმა ყვავილი?“

„რა თქმა უნდა, არა! — ვამბობ ზოგჯერ. — პატარა უფლისწული მინის სარქველს ახურავს თავის ყვავილს ღამღამობით და ფხიზლად დარაჯობს ბატკანს“... ამას რომ ვფიქრობ, ბედნიერი ვარ და ყველა ვარსკვლავი წყნარად მიცინის ციდან.

მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ: ხომ შეიძლება, რომ ადამიანს საქმე გადაავიწყდეს? ხომ შეიძლება, რომ ერთ საღამოს მინის სარქველი არ დაახუროს ყვავილს ან ბატკანი გაეპაროს ღამით ყუთიდან? და ამის გაფიქრებაზე ეჟვნების წკრიალი ცრემლებად იცვლება...

ეს პეიზაჟი ყველაზე მშვენიერი და სევდიანი პეიზაჟია ჩემთვის ქვეყნად. ეს სწორედ ის სურათია, წინა გვერდზე რომ იყო, მაგრამ მე ხელმეორედ დავხატე იგი, რომ სამუდამოდ აღმებეჭდა თქვენს მეხსიერებაში.



ყურადღებით დააცქერდით ამ სურათს, რომ ნამდვილად იცნოთ იგი, თუ ოდესმე აფრიკის უდაბნოში იმოგზაურებთ. ამ ადგილას თუ გაიაროთ, ნუ აჩქარდებით, შეჩერდით ერთ ხანს, სწორედ ამ ვარსკვლავის ქვეშ. და ყმაწვილი თუ დაინახოთ, რომელიც იცინის, შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა და ოქროსფერი თმა აქვს, უთუოდ მიხვდებით, ვინც არის იგი. და თუ ეს მოხდა, გთხოვთ მანუგეშოთ — შემატყობინოთ, რომ იგი დაბრუნდა.




დღევანდელი ნომრიდან „ნაკადულში“ ახალი კლუბი იწვევს სტუმრებს. კლუბის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბავშვების გაცნობა-დამეგობრებას. თუ რომელიმე თქვენგანს ასეთი სურვილი გაუჩნდება, რედაქციაში უნდა გამოგზავნოს წერილი, რომელშიც თავის მისამართთან ერთად ისიც უნდა მოგვწეროს, რას-საქმიანობს სკოლის გარეთ, რა კობი აქვს, ხელოვნების რომელი დარგი იტაცებს ყველაზე მეტად.

ჩვენს კლუბში გამოქვეყნებული მისამართები საშუალებას მოგცემთ, ინტერესების მიხედვით აირჩიოთ მეგობარი, მიმოწერა გამართოთ თანატოლებთან, გაუზიაროთ გამოცდილება, აკითხოთ რჩევა, შესთავაზოთ თქვენეული მოსაზრებანი.

მაშ, ასე, ნუღარ დააყოვნებთ, აიღეთ კალამი და მოგვწერეთ.



# სინოპტიკოსი ცხოველები



თუ ცხვრები ერთგან გროვდებიან და ჰეტელებენ — ავდარია, თუ რქებით ერკინებიან ერთმანეთს — ძლიერი ქარი.

თუ კოლო სინათლისკენ მიისწრაფვის, აცივდება.

თუ ჭიანჭველები გამალებით მუშაობენ და „ბინის" კარი ღია აქვთ, დარია, თუ მუშაობა შეწყვიტეს და კარი ამოქოლეს — ავდარი.



თუ ქათმები კრიახებენ, ბუმბულს იწიწკნიან ან იქექებიან — ავდარია. თუ ქვიშაში ან მტვერში „ბანაობენ" — წვიმაა, თუ წვიმაში აქეთ-იქით დასეირნობენ — ხანგრძლივად იწვიმებს.

თუ წვიმაში ჩიტები აყლურტულდნენ, მალე გამოიდარებს.



თუ ღამურები მზის ჩასვლისთანავე სანადიროდ გამოვიდნენ, დარია მოსალოდნელი.

თუ გოჭები ზამთარში ჰყვიტინებენ — აცივდება, თუ ზაფხულში, — გაავდრდება.

თუ ღორი ხეს ან კედელს აფხანს გვერდს — დათბება, თუ ჰყვიტინებს — ავდარია, თუ პირით თივას დაატარებს — ქარიშხალი. საღორეში თუ მიძვრება — წვიმა.



თუ ფუტკარი დილით საშოვარზე არ მიფრინავს, გაწვიმდება, თუ



გუნდ-გუნდად ეხვევიან ყვავილებს — დარს ელოდე, თუ საშოვრიდან გვიანობამდე არ ბრუნდებიან — ხანგრძლივად იწვიმებს.

თუ ობობა ქსელის ცენტრშია გარინდული და ძალზე ბევრ ქსელს ქსოვს, იწვიმებს, თუ ცოტას — ამინდი შეიცვლება; თუ ქსელს მცენარეებზე აბამს, დათბება, თუ ჩვეულებრივზე უფრო აქტიურად მუშაობს, ამინდის შეცვლას ელოდე, თუ ქსელს სამხრეთის მიმართულებით ქსოვს, ტემპერატურა მოიმატებს, თუ ჩრდილოეთის მიმართულებით — აგრილდება.



# მიწისძვრები და ცოცხალ არსებათა სამყარო

ერთი ბრძენი ფილოსოფოსი ამბობდა, ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება და არაფერია მოხვენებულ მდგომარეობაშიო. მართლაც, ჩვენს irgvliv ყველაფერი მოძრაობს — მოდის წვიმა, სეტყვა, თოვლი, მიედინებიან მდინარეები, ღელავს ზღვა... და მხოლოდ დედამიწა გვეჩვენება მტკიცედ და უძრავად.

მაგრამ ასეა კი სინამდვილეში?

რა თქმა უნდა, არა. იგი ყველგან და ყოველთვის მსუბუქ რხევებს განიცდის, რაშიც ადვილად დავრწმუნდებით, თუ მიწაზე დავდებთ საკმაოდ მგრძნობიარე და ზუსტი რხევების ჩამწერ ხეისმურ ხელსაწყოს.

ყოველწლიურად ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში, სუსტი ბიძგების ჩაუთვლელად, ხდება დაახლოებით 100 ათასამდე მიწისძვრა, მათ გასაზომად შემოღებულია 12-ბალიანი სეისმური სკალა. პირველი ექვსი ბალი შედარებით ნაკლებ საშიშია, ხოლო მომდევნო — 7, 8, 9 და ა. შ. — ნგრევას იწვევს.

მიწისძვრა... რაოდენ უსიამოვნო შეგრძნებასაც უნდა იწვევდეს ჩვენში ამ სიტყვის გაგონება, ვალდებულნი ვართ, რაც შეიძლება, მეტი ვიცოდეთ მის შესახებ, რათა იმ სირაქლემის მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ, საფრთხის მოახლოებისას ქვიშაში რომ მალავს თავს.

ხალხი ბრძენია. ათასეული წლების განმავლობაში მომხდარმა მიწისძვრებმა მისი ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ მიწისძვრის წინ ჩვენი უმცროსი თანამოძმენი — ცხოველები და მწერები — უცნაურად იქცევიან.

ამ მოვლენამ დააინტერესა მეცნიერებიც და მათ დაიწყეს ბიოლოგიური წინასწარმაუწყებლობის შესწავლა. ამ საკითხზე 1976 და 1979 წლებში ამერიკაში ორი საინტერესო კონფერენცია ჩატარდა.

სეისმოლოგებმა, რომლებმაც შეაგროვეს ცნობები ბიომაუწყებლებზე, დაასკვნეს: მიწისძვრის წინასწარ შეგრძნებაში გარეულ არსებათა შორის ყველაზე მგრძნობიარენი არიან ჩიტები, გველები და თევზები, შინაურ ცხოველებში კი — ძაღლები, კატები, ვირთხები და ფრინველები.

მაინც როგორ იქცევიან ისინი მოსალოდნელი კატასტროფის წინ? დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩიტები ტოვებენ ბუდეებს და სხვა ადგილებისაკენ მიფრინავენ, გველები კი ამოდიან მიწის ზედაპირზე მაშინაც კი, როდესაც ცივი ზამთარია, რომ ამ დროს თევზი ნაპირზე ამოხტომას ცდილობს, ძაღლი ძალზე აღგზნებულია, ხმამაღლა ყეფს და ცდილობს, პატრონი შენობიდან გაიყვანოს; ასევე მოუსვენრობს კატაც — ძუ კატებს კნუტები გაჰყავთ შენობის გარეთ, გაშლილ ადგილას. ვირთხა სტოვებს ადგილსამყოფელს და სადღაც იკარგება, ცხენი და სხვა შინაური ცხოველები გაშმაგებით ცდილობენ თავლიდან ან გომურიდან ტრიალ ადგილზე გამოსვლას, შინაური ფრინველი საქათმეში აღარ შედის და გარეთ, ხეებზე იბუდებს, ჭიანჭველები კი ტოვებენ ბუდეებს.

ჩვენთვის ცნობილია ბევრი საინტერესო და საკვირველი რამ მშრომელი ფუტკრების ყოფიდან. ვიცით, რომ ფუტკარი წინასწარ გრძნობს წვიმასა და სეტყვას, ძლიერი ქარისა და ხანძრის მოახლოებას. მაშასადამე, ფუტკარი ამინდის წინასწარმეტყველიცაა.

მაგრამ თუ ფუტკარი წინასწარ გრძნობდა მიწისძვრის მოახლოებას, ეს არავინ იცოდა. არ იცოდნენ ეს ხომხეთის სოფელ დაშტადემის ბევრისმნახველმა მეფუტკრეებმაც, მაგრამ დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, ფუტკრის ოჯახების საზამთროდ მომზადების დროს, მათ უცნაური რამ იხილეს: ფუტკრებმა მასობრივად მიატოვეს სკები და საფუტკრის თავზე საგანგაშო ფრენა-ბზუილი დაიწყეს.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და გაისმა მიწისქვეშა ყრუ გრუხუნი, რომელსაც მოჰყვა ძლიერი ბიძგები და დედამიწა ისეთნაირად შექანდა, რომ მეფუტკრეებმა თავი ძლივს შეიმაგრეს, რომ არ წაქცეულიყვნენ. ახლა კი მიხვდნენ ისინი, თუ რას მოასწავებდა ფუტკრების საგანგაშო ფრენა; ძლიერი მღელვარების შედეგად როგორც მინდორში, ისე წინადღით სახლის სარდაფში გამოსაზამთრებლად შეზიდულ სკებშიც ფუტკრის ოჯახების ნახევარზე მეტი დაიხოცა.

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფუტკარი, შენობაშია თუ ღია ცის ქვეშ, დაახლოებით ერთი საათით ადრე გრძნობს მიწისძვრის მოახლოებას, სკებიდან გარეთ გამოდის და იწყებს საგანგაშო ფრენასა და ბზუილს.

ალბათ, სასურველია, ვიცოდეთ ზოგიერთი ძირითადი წესი თუ ხერხი, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ მიწისძვრა მოულოდნელად დაგვატყდა თავს.

მთავარია, არ მივეცეთ პანიკას, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და, ასევე, ვეცადოთ დავამშვიდოთ სხვებიც.

მიწისძვრის დროს, შენობაში ვიქნებით თუ ქუჩაში, უნდა დავრჩეთ ადგილზე, რათა სიჩქარეში საკუთარ თავს თუ სხვებს ტრავმა არ მივაყენოთ. შენობის დატოვებას მაშინ აქვს აზრი, თუ ის დაბალსართულიანია (1-3 სართულიანი სახლები).

თუ ვრჩებით ბინაში, ჯობს, დავდგეთ კედელთან, შიდა კარის თაღქვეშ ან საყრდენ სვეტთან. თუ ქუჩაში ვართ, უნდა მოვერიდოთ შენობებს და გავიდეთ შედარებით გაშლილ ადგილას. ტრანსპორტში ყოფნისას ძლიერი რყევების დამთავრებამდე ადგილზე უნდა დავრჩეთ.

ასეთ დროს მთავარია სიმტკიცე და დისციპლინა, ამ თვისებებზე ბევრად არის დამოკიდებული როგორც ჩვენი, ისე ჩვენს თანამოძმეთა სიცოცხლის შენარჩუნება.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# რევაზ ლაღიძე 70

# ხსოვნად შთამომავლობას

„არ მიყვარს, არა, არ მიყვარს კაცი ორპირი, ცბიერი, არ შევჭამ იმის პურს, არა, თუ გინდ ვკვდებოდე მშიერი“.

ყველას კარგად გვახსოვს პატიოსანი მშრომელი კაცის, მედროგე პავლეს სიმღერა კინოფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“.

ბატონი რევაზ ლაღიძე, პავლეს მსგავსად, არ მიუჯდებოდა სუფრას ისეთ ადამიანთან ერთად, ვინც მის სულსა და გულს არ მოეწონებოდა. მას ყოველთვის აღიზიანებდა სიცრუე და ავკაცობა, უმეგობრო და უკეთური ადამიანი.

„ჩვენს საქმაკაცოს გაუმარჯოსო“, — პირველ სადღეგრძელოს ასწევდა ხოლმე ბატონი რევაზი და ამ სიტყვებით მხოლოდ თანამესუფრეებს კი არა, ყოველ ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს ლოცავდა. სწორედ სუფრაზე, უშუალო სიტუაციაში წარმოჩინდებოდა ხოლმე ყველაზე ცხადად რევაზ ლაღიძის შესანიშნავი პიროვნება-დიდბუნებოვანი, კეთილი, დიდი შემოქმედი, შეყვარებული საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

ბატონ რევაზს უამრავი მეგობარი და ახლობელი ჰყავდა, ყველა პიროვნებაში ადამიანურ საწყისს ეძებდა, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის დანახვას ცდილობდა და ბავშვივით ხარობდა, როცა იმედი არ გაუცრუვდებოდა.

ცნობილი შემოქმედის ცხოვრება აღსავსე იყო შეხვედრებითა და ურთიერთობებით მრავალ შესანიშნავ ადამიანთან: გამოჩენილ კომპოზიტორებთან, მუსიკოსებთან, შემსრულებლებთან და, უბრალოდ, ხალხთან. სახალხო არტისტი არავის აგრძნობინებდა, რომ იგი რაიმეთი მაღლა იდგა მოსაუბრესთან შედარებით, მთავარი ადამიანის სიკეთე იყო და არა მისი სოციალური მდგომარეობა.

რევაზ ლაღიძის უშუალო, მოყვარული, უბოროტო და სულით ხორცამდე ნაღდი ქართველის ბუნება ჩვენს წინ ცოცხლდება არა მხოლოდ მის ნაწარმოებებში, არამედ იმ ადამიანთა მოგონებებშიც, რომლებიც მას ცხოვრების გზაზე შეხვედრიან.

ცნობილი მომღერალი ედუარდ სეფაშვილი იხსენებს: როცა რევაზ ლაღიძის პიროვნულ ღირსებებს ჩასწვდებოდით, შეუძლებელი იყო, მისდამი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით არ გამსჭვალულიყავით.

— მახსოვს, — ელიმება ბატონ ედუარდს, — ქუთაისში კონცერტები გვქონდა. რევაზ ლაღიძეს ჩემი ჩაცმულობა არ მოეწონა, უჩუმრად გავიდა და საღამოს მის ნაყიდ ახალ ფეხსაცმელში გამოწყობილი, უზომოდ ბედნიერი გამოვედი სცენაზე. მასთან სიახლოვემ ბევრი სიკეთე შემძინა, მის გვერდით მასავით კეთილი და უბოროტო უნდა ყოფილიყავი. არ შეიძლებოდა, ასეთი ადამიანის კაიკაცობა მის ნაწარმოებებში არ ასახულიყო.

რევაზ ლაღიძეს ბუნებით მომადლებული ნიჭი ჰქონდა, მისმა სიმღერებმა იმთავითვე სიყვარული დაიმსახურეს და ფართო აღიარება მოუპოვეს ავტორს.

პოეტური ლირიკა რ. ლაღიძის შემოქმედების ლაიტმოტივია, მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნულ ქართულ ხალხურ მუსიკალურ კულტურასთან.

ბატონი რევაზი სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის ნაწარმოებების ავტორია, მას ეკუთვნის ოპერა „ლელა“, მუსიკალური კომედიები „მეგობრები“ და „კომბლე“, სიმფონიური პოემები, საგუნდო ნაწარმოებები, პიესები ფორტეპიანოსათვის, მუსიკა კინოფილმებისათვის „საბუდარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები“, „ზევისხერი გოჩა“, „განგაში“, „წუთისოფელი“ და ა. შ.

მისი „სიმღერა თბილისზე“ დები ჩაფიჩაძეების შესრულებით საქართველოს დედაქალაქის თავისებურ ჰიმნად იქცა.

რევაზ ლაღიძის სიმღერები კომპოზიტორის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მრავალფეროვნებაზე, მისი, როგორც ხელოვანის, მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებენ.

ბატონ რევაზს განსაკუთრებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდა სამშობლო, რომლის წინაშეც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით პირნათლად მოიხადა მამულიშვილური ვალი.

რ. ლაღიძეს ფეხით ჰქონდა შემოვლილი თავისი სათაყვანო საქართველო, სამშობლოს უჩვეულოდ ლამაზი ბუნების გამაბრუებელი სურათები მისი მუსიკის წყაროდ ქცეულან. კომპოზიტორი უმღერის თავის მიწა-წყალს, მის გმირულ წარსულსა და აწმყოს, იმედით შეჰყურებს მომავალს.

ჯერ კიდევ როდის დაიწერა სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ“ კინოფილმიდან „გლახის ნაამბობი“, ახლა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ რომ არის ქცეული!

მიწის ყივილი კომპოზიტორის სულის ყივილია, სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა“ გვაფრთხილებს, რომ მშობლიურ ბუნებას მოვლა-პატრონობა უნდა, რათა შთამომავლობას შეურყვნელი ჩავაბაროთ დედასაქართველოს სიმდიდრე და სილამაზე.

წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის რევაზ ლაღიძე — ქართული მუსიკალური კულტურის უანგარო მოღვაწე, ნაღდი თბილისელი, ნაღდი ქართველი, მაღალი ზნეობის პიროვნება.

განგებამ მას მხოლოდ ექვსიოდე ათეული წელი უბოძა, მაგრამ ამ მოკლე ხანში მაინც მოასწრო იმდენის გაკეთება, რომ შთამომავლობას ნათელ ხსოვნად დარჩა მისი სახელი და საქმე.

ნანა ფავლენიშვილი

# ერიკ კლეპტონი




დღეს მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტად აღიარებულმა ამ ინგლისელმა მუსიკოსმა 17 წლისამ დაიწყო გიტარაზე დაკვრა და მაინც, მიუხედავად ამისა, მან ბრწყინვალედ დაამთავრა სამხატვრო კოლეჯი ამ საკრავის კლასით.

1968 წელს ერიკ კლეპტონმა შექმნა თავისი პირველი ჯგუფი „რუსტერს“, რომელშიც შედიოდნენ ბრაიან ჯონსონი, პოლ ჯონსი და ტომ მაკგინესი. მოგვიანებით კლეპტონი შეუერთდა ჯგუფ „იარდბიედზს“. სწორედ ამ ანსამბლში გამოსვლის დროს მოიპოვა მან ფართო აღიარება, როგორც გიტარისტმა და კომპოზიტორმა. დროთა განმავლობაში ჯგუფის წევრები „პოპსმა“ გაიტაცა, კლეპტონმა კი „ბლიუზბრეიკერსში“ გადაინაცვლა. ეს ის პერიოდია, როცა ერიკ კლეპტონი ბრწყინვალე გიტარისტ-ვირტუოზად ჩამოყალიბდა. მუსიკოსის ტექნიკა იმდენად დაიხვეწა, რომ შეძლო, თვით ჰენდრიკისათვის ჩამოერთმია მსოფლიოში საუკეთესო გიტარისტის ტიტული. 1966 წ. ერიკ კლეპტონი გამოდიოდა „კრიმის“ შემადგენლობაში, ამ ჯგუფის დაშლის შემდეგ კი ცოტა ხანს უკრავდა ჯერ „ბლაინდ ფეიტში“, მერე — „დილენი ენდ ბონიში“, ბოლოს კი — „დერეკ ენდ ზე დომინოში“. ამ დროისთვის კლეპტონის სიმღერა „ლაილა“ საერთაშორისო „ჰითად“ აღიარეს.

1970 წლიდან ერიკ კლეპტონი მარტო მუშაობს, ხშირად მონაწილეობს სხვა შემსრულებელთა ჩანაწერებში, გამოდის პროდიუსერის როლში. 45 წლის ინგლისელი მუსიკოსის სტილი პერიოდულად იცვლება, ხან ჰარდროკია, ხანაც ქანთრი-ბლიუზი, საფუძვლად კი მის მუსიკას მუდამ კლასიკური ბლიუზი უდევს. ერიკ კლეპტონის ყველაზე პოპულარული ფირფიტებია „ერიკ კლეპტონი“ (1970), „ერიკ კლეპტონის ისტორია“ (1972); „კონცერტი „რეინბოუში“ (1973); „ოკეანის ბულვარი, 461“ (1974), „ერთი ნებისმიერ ბრბოში“ (1975); „აქ იყო ე. კ.“ (1975); „ცრემლებისთვის მიზეზი არ არსებობს“ (1961); „ფული და სიგარეტები“ (1988); „აგვისტო“ (1986), „ე. კ. ნალები“ (1987) და სხვ.

თანამედროვე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუნუ ლადიძე

# ორი მოთხრობა

მხატვარი
კარლო ფაჩულია

ალბათ შეგიმჩნევიათ: ღორი გუბეს დაინახავს თუ არა, შიგ წვება. ისიც ხომ იცით და იცით, რომ კისერს ვერ აბრუნებს, მაღლა ახედვას ვერ ახერხებს, შეუსვენებლივ კვნესის. ოდესღაც კი, თურმე, არც ტალახში წვებოდა, არც კვნესოდა და კისერიც არ უშლიდა, მუდამ თავაწეულს ევლო.

ფესვები ღრმად ჰქონია მიწაში გადგმული, ასე რომ, ძვრაც ვერ უყო. არც ქარი ქროდა თურმე იმ დროს, რომ რკო ძირს ჩამოეყარა. არაქათგამოცლილი ღორი მოშვებია მუხას, განზე გამდგარა და შურიანი თვალით შეჩერებია მუხის ტოტებს.



ასე ყოფილა მანამ, სანამ ეს უჩვეულო ამბავი შეემთხვეოდა: ერთხელ თურმე ღორი ტყეში დაეხეტებოდა, სასუსნავს დაეძებდა და ერთ მუხას მიადგა, მუხა რკოთი ყოფილა დახუნძლული. ღორს რკო რომ დაუნახავს, სიამით აღრუტუნებულა და მუხის ძირს გახახუნებია. მუხას კი

ეს ამბავი არ გამოჰპარვია მუხის ტოტზე წამოსკუპებულ ყვავს.

— შე მუცელჩასახეთქო, რკოს დამწიფებას რომ არ აცლი, ცოტაც დაიცადე და მუხა თვითონ გაჭმევს რკოსო, — ჩამოუჩხავლია ყვანჩალას.

ღორმუცელა ღორი ამრეზილა:

— ერთი ამ თავქარიანს დამიხედეთ, კიდეც ჭკუას რომ მასწავლისო.

ყვავი გაბრაზებულა, მოუწყვეტია ყველაზე მსხვილი რკო და დაუმიზნებია ღორისათვის თავში.

დიდხანს არ მოუსვენებია ღორი ჭრილობას, ძალიან ეწვოდა და არ იცოდა, რითი დაეამებინა. ბედად, იქვე გუბე დაუნახავს, მივარდა თურმე და შიგ დინგი ჩაჰყო. ცივი ტალახი ძალიან ესიამოვნა და ახლა მთლიანად ჩაწვა თურმე გუბეში.

სად ყოფილა და სად არა, საიდანღაც ობობაც გამომძვრალა და ზედ ღორის თავზე, ნაჭრილობევთან, ქსელი გაუბამს...

ასე რომ, ღორს ჭრილობის მოშუშება აღარ გასჭირვებია. ეგ იყო, კისერი ველარ აამოძრავა და კვნესა ისწავლა თურმე.

ამბობენ, მას შემდეგ შიშისაგან მაღლა აღარ იხედებაო: თავჩაღუნული დადის, გამუდმებით კვნესის და, საკმარისია, რაიმემ შეაწუხოს, მაშინვე ტალახისკენ გარბისო...

# თევზსაშენი

გოგის მამა არხის მშენებლობაზე მუშაობს.

ერთ საღამოს მან წვრილი თევზებით — მურწათი, ჭანარით, ღორჯოთი, გოჭათი, საზანით — მოპირთავებული ვედრო მოიტანა. გოგის ჯერ არ ენახა ერთად ამდენი თევზი.

მამამ შვილს ლანგარი მოატანინა და თევზების ამოლაგება დაიწყო.

— მეც მოგეხმარები, რა, მამი?! — სთხოვა გოგიმ.

უცებ ერთი თევზი ბიჭს ხელში აუთამაშდა.

— ვაი, ცოცხალია! — იყვირა ბავშვმა, მაგრამ სიტყვაც არ დაემთავრებინა, რომ თევზი ხელიდან გაუსხლტა და ისევ ვედროში მოადინა ტყაპანი. გოგის მისკენ თვალი გაექცა.

— მამა! მამა! ნახე, ძირში ყველანი ცოცხლები არიან! — აყვირდა ბიჭი და აღტაცებისგან ადგილზე ფეხების ტყაპუნი დაიწყო, მაგრამ აღტაცება იმავ წამს ჩაუქრა და, მაშ, სხვები რაღად დაიხოცნენო, ახლა ამ კითხვით მიაცივდა მამას.

— კი მაგრამ, ვედროს ძირში რომ წყალია, ვერ ხედავ?

— აა, მივხვდი, თევზები უწყლოდ ვერ ცოცხლობენ, ხომ ასეა?

— ასეა, ოღონდ წყალშიც საჭმელი არ უნდა მოაკლდეთ.

გოგი გაყუჩდა, მამას განერიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ მივიდა მასთან და ყელი გამოუწია:

— მამიკო, გეხვეწები, ამ თევზებს ხელი არახლო, რა?.. ახლავე მოვალ...

არ გასულა ორი წუთიც და ეზოს ჭიშკარმა ისევ გაიჭრიალა. გოგის ახლა თავისი მეგობრებიც მოეყვანა — მასავით გაწრიპული, ტიტლიკანა ბიჭები — ზურიკო, ვასო, შოთა, დათო. ბავშვები გაბრწყინებული სახეებით დაუტრიალდნენ მოსხმარტალე თევზებს.

— იცით რა, ბიჭებო, — თქვა ბოლოს გოგიმ. — მოდით, აუზი მოვაწყოთ და მის წყალში თევზები გავუშვათ...

— უჰ, შენი გულისა, მართლაც რომ კარგი იქნება! — ერთხმად აიტაცეს ბიჭებმა.

— აი, ამ ადგილას აჯობებს, წყალთან ახლოს.

— მე მამას ცემენტს გამოვართმევ, — თქვა ზურიკომ.

— მე ხრეშს მოვზიდავ ჩემი მანქანით, — აჰყვა შოთაც.

— მე წყლით მოგამარაგებთ, — დასძახა ვასომ.

ბავშვები საქმეს დაეშურნენ...

— მოდით, ბიჭებო, აუზის კედელში საცობიანი მილი დავატანოთ, ასე წყალს უფრო იოლად გამოვუცვლით ხოლმე. პურის ნამცეცები და ჭია-მატლებიც მოვიმარაგოთ თევზების საკვებად, — მოისაზრა ბიჭებში ყველაზე უფროსმა დათომ.

სულ ცოტა ხანში თევზსაშენი მზად იყო. ბავშვებმა შიგ წყალი ჩაასხეს და თევზები გაუშვეს.





# ქეთევან დედოფალი

ალ. დიდებაშვილი

მუხრანელი დედოფალი
სათნოების წნავდა ღობეს,
ზნემაღლობის სდევდა კვალი
თეიმურაზ მეფის მშობელს.

მცირე ერის შვილებს მუდამ
წინ გამოცდა ელის მკაცრი...
მტრის ურდოდან მოსულ უსტარს
ამშიმებდა ჩუმი ღვარძლი.

ირანის შაჰს მოესურვა
მეფისწულთა ხლება მძევლად...
სასახლეში იწყეს ურვა,
ურჯულოთა კრულვა, წყევლა...

ქეთევანის შვილიშვილებს,
თვალკრიალა ძე-ყმაწვილებს,
უხილავი ლანდი — კობრა —
დასაგესლად აეფოფრა!

დაყოვნება ხალხს მოსრავდა,
ჭირს მოჰფენდა მტერი ულევს...
და ბებია მძევლებს გაჰყვა,
განწირული — განწირულებს.

შეაძრწუნა დიდი დედა
ქართველ ტყვეთა შავმა ბედმა,
ურჩხულს ძლევის ცხრილი ედგა;
გათათრება, ან გაჟლეტა!

იგრძნო დედამ, მწუხრის ნისლად
აესვეტა განსაცდელი.
შაჰმა ბრძანა: ეყმე ისლამს,
გათათრდიო, ამას ველი...

თან მუქარაც მიაყოლა:
ჯიუტს მოსპობს ჩემი რისხვა!
გამყინავად ყეფდა მოლა...
ტანში სცრიდა დილა-ხისხამს...

განმარტოვდა ღვთისნიერი,
პირჯვრის წერით შედგა ლოცვად,
ღმერთს ავედრა თვისი ერი,
ღვთისმშობლის ხატს კრძალვით
ჰკოცნა.

„რომ შევცოდო, უფლის გმობით,
მამულს დასცემს გლოვის თალხი,
შემზარავი ამბის ცნობით,
გათათრდება ჩემი ხალხიც.

ზეციერო, მომეც ძალა,
ბრძოლა ვძლიო, მუხლთა მკვეთი,
ვიხსნა სული, ვენთო სანთლად,
გავუნათო მოყვასს მკვდრეთით...“

შეუთვალა მტარვალს მტკიცედ:
„— ვიდრე მკერდში გული მიცემს,
ვუერთგულებ მხოლოდ ქრისტეს...
მზად ვარ, ხანძრის ფერფლად
ვიქცე!...

შაჰი რისხვის ცოფსა ყრიდა,
ულმობელი მძევლებს სჯიდა:
— მაგ გურჯთათვის, მაგ ურჩთათვის
— კოცონი და ცხელი შანთი!...

მოიყვანეს უმწეო ტყვე,
დაუდაღეს ბროლის მკერდი...
გარს ქაჯები ესეოდნენ,
აღიოდა ცოდვა მზემდის.

## პოეზია

ბექან სვანიძე

### მზეო, შეგთხოვ მუხლმოდრეკით

მზეო, მზეო,
შენი სითბო,
შენი შუქი,
შენი სხივი
აწ და მარად
აამებდეს
ერის წყლულებს,
ერის ტკივილს.
აწ და მარად,
აწ და მარად,
საქართველოს ბორკილაყრილს,
თავისუფალს,
გალაღებულს
შენს ნაზ ღიმილს ჰფენდე მაღლით.
აწ და მარად,
აწ და მარად,
მზეო,
შეგთხოვ მუხლმოდრეკით:
ყოველ დილით
ქართვლის მთებზე
სამშვიდობოდ გადმოდექი!

### ყველანი ვგავართ დიდგორის ლომებს

იღვწის, ძილფხიზლობს,
დღეს როდი სძინავს,
ჩემს ჯიშს, ჩემს მოდგმას,
ჩემს უდრეკ ჯილაგს.
გონებით განსჯის,
ზომავს და წონის,
გრძნობს აღზევებას ძალის და ღონის.
მუდამ ერთგული მონაა რწმენის,
აქვს ვებერთელა უნარი თმენის.
რაკი დავკვლიეთ
ხელსაყრელ მომენტს,
ყველანი ვგავართ
დიდგორის ლომებს.
თუკი დაგვჭირდა,
ძალგვიძს ქორული
მიხტომაც, ომიც —
მძლე, დიდგორული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბრები პოეზიაზე

## 1. საჭიროა თუ არა, ვისწავლოთ ლექსის წერა

არ არსებობს ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა პოეტი... თითქოს პარადოქსია, არა?! შევეცდები, ავხსნა. ყოველ ადამიანს აქვს ცხოვრებაში წუთები, როცა ის „არაჩვეულებრივია“, როცა ირღვევა მისი ყოფის ყოველდღიური მდინარება და რაღაც „სხვა“ ემართება — ან აღტაცება, ან სასოწარკვეთა, ან დიდი მწუხარება, თვით დიდი შურისძიების გრძნობაც კი. მაშინ ის სხვად იქცევა. იქნებ სწორედ ეს „სხვადქცევა“ არის კარიბჭე პოეზიის სამყაროსი? „სხვანაირობა“ უკვე ნიშნავს პოეტურობას!

ამ დროს ხშირად ჩნდება სურვილი, ვიღაცამ გაიზიაროს შენი განცდები, მაგრამ როგორ უნდა გავაგებინოთ სხვას, რას განვიცდით იმ წუთს? ალბათ სიტყვებით, მაგრამ ჩვეულებრივი სიტყვების ჩვეულებრივი მდინარება თითქოს ვერ იტევს, ვერ გამოხატავს სათქმელს და მაშინ ვეძებთ სულ სხვა სიტყვას, ერთადერთს, შეუცვლელს, და ეს არის პირველი გაკვეთილი, რომელსაც პოეზია გვიტარებს.

მხატვარი, ვიდრე ტილოს დახატავდეს, ბევრ რამეს სწავლობს. სწავლობს, როგორ გადაჭიმოს ტილო, როგორ შეაზავოს საღებავები, როგორ გამოსახოს საგანი... ასევეა მუსიკოსიც: რამდენი შრომა სჭირდება მას, ვიდრე თითები შეეჩვევიან ისე მუშაობას, რომ ინსტრუმენტი დამორჩილდეს პიანისტის ნებას. ბახს ერთხელ ჰკითხეს, როგორ ასერხებდა ასე კარგად დაკვრას. ძალიან ადვილიაო, უპასუხნია მას, უბრალოდ, უნდა იცოდე, რომელ კლავიშს რამდენ ხანს დააჭირო თითი. ეს მარტივი გენიალობა პოეზიის მაგალითზე რომ გადმოგვეტანა, ასე ვიტყოდით: საჭიროა, ზუსტად იცოდე, რომელ სიტყვას სად მიუჩინო ლექსში ადგილი. მაგრამ, გარდა სიტყვებისა, პოეზიის ენას ქმნის რითმა, რიტმი, ბგერწერა, ინტონაცია და ბევრი სხვა რამ (ყოველივე ამის შესახებ შემდეგი შეხვედრებისას ვისაუბრებთ).

ჩვენი პირველი ლექსები, ძირითადად, სხვათა მიბაძვით იქმნება. ხუთი-ექვსი წლის პატარა უკვე ცდილობს, მოიგონოს რაღაც ისეთი, რასაც შინ ან საბავშვო ბაღში ასწავლიან, გარითმოს სიტყვები. პატარა ბავშვი ისევე სწავლობს პოეზიის ენას, როგორც, თავის დროზე, ლაპარაკს — მიბაძვით. და ეს მიბაძვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია პოეზიის კიბეზე. ამიტომ ნუ შეშინდები, თუ გეტყვიან, რომ შენი ლექსი ძალიან ჰგავს რომელიმე ცნობილი პოეტის ცნობილ სტრიქონებს. საკუთარი გზის პოვნა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მაგრამ ხომ არიან პოეტები, რომელნიც ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში თითქოს პირდაპირ ამ გზაზე იღვიძებენ — ვუნდერკინდები? ალბათ წაგიკითხავს თორმეტი, ათი, ზოგჯერ რვა წლის ბავშვის ლექსებიც კი, რომელთაც უკვე დიდი პოეზიის ნიშანი აზის. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სულაც არ არის საჭირო ლექსის წერის სწავლა, რომ კარგი ლექსის შესაქმნელად ტალანტიც საკმარისია?

კითხვაზე, რა არის საჭირო იმისათვის, რომ პოეტი გახდე, პირადად მე ასე ვუპასუხებდი: უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიბადო პოეტად! მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია, პოეტად დაბადებული პოეტად გაიზარდოს. ეს კი სულიერი გამოცდილების შეძენასთან ერთად ლექსის თხზვის ტექნიკის დაუფლებასაც ნიშნავს.

თუ მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, გახდე პოეტი, უნდა შეურიგდე იმ აზრს, რომ მოგიწევს მძიმე შრომა, და ამ შრომის დროს გამომკრთალი იღბლიანი წამების გარდა, წინ ბევრი დახეული ფურცელი გელოდება.

მკითხველთან ან მსმენელთან შეხვედრის ბედნიერ შემთხვევას წინ დიდი ჯაფა უდევს. განა ასეთივე ჯაფა არ ადგას მხატვარს, მუსიკოსს, მსახიობს?

ვგრძნობ, ჩემმა პირველმა საუბარმა, შეიძლება, შეგაშინოს კიდეც. მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, დაფიქრდე, მართლა გინდა თუ არა პოეტობა, ან რისთვის გინდა პოეტობა, ან როგორ მოიქცეოდი, შენთვის წერა რომ აეკრძალათ? — აი კითხვები, რომელთა პასუხიც მე თვითონ მაწუხებს. ამიტომ გულისყურით მოგისმენ, თუ სურვილი გაგიჩნდება, აზრი გამიზიარო.

შენი პირველი წერილი იქნება სავიზიტო ბარათი, რომელიც, ვიმედოვნებ, ჩვენი ურთიერთობის საფუძველი გახდება. გამოგვიგზავნე შენი ლექსებიც, საუკეთესოს დასაბეჭდად ავირჩევთ; ცუდი ლექსის გამოგზავნაც ნუ მოგერიდება, ერთად ვიმსჯელოთ მის ავ-კარგზე, შენსავე თანატოლებსაც ვთხოვოთ აზრის გამოთქმა. ძალიან საინტერესო იქნება, თუ გაგვიზიარებ მოსაზრებებს საკუთარ ნაწარმოებზე.

მაშ ასე, პირველი დავალება, ვფიქრობ, გასაგებია.

ნინო დარბაისელი

## მცირე ლიტერატურული ლექსიკონი

● **პოეზია** (ბერძნ. — წყობილსიტყვაობა) — ლექსად დაწერილი, რიტმულად მოწესრიგებული თხზულებები („ვეფხისტყაოსანი“, „განთიადი“, „მე და ღამე“...). გადატანითი მნიშვნელობით — მიმზიდველი, ემოციური, სათუთი.

● **პროზა** (ლათ. — მეტყველება) — წერითი მეტყველების ჩვეულებრივი სახეობა, რომელიც არ არის დაყოფილი რიტმულ ერთეულებად („დიდოსტატის მარჯვენა“, „ელგუჯა“, „ტრაგედია უგმიროდ“...). გადატანითი მნიშვნელობით — ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოვლენა.

● **ლექსი** — მხატვრული მეტყველების რიტმული და ბგერითი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა („მერანი“, „პოეტი“, „ყვავილის პაემანი“, „მერი“...).

● **რიტმი** (ბერძნ. — ზომა, თანაზომიერება) — ლექსში თანაზომიერი სამეტყველო ერთეულების მოწესრიგებული გამეორება.

● **რითმა** — ერთი და იმავე ან დამსგავსებული ბგერების გამეორება ლექსის ტაეპში (სტრიქონში) ან სტროფში (მერანი — ყორანი, მე ნელა — მენელა, ხილაში ვარდი — ხილაჟვარდე...).

# ეთნოგრაფია

# მარხილი




ქართველი ხალხი ოდითგანვე იცნობდა ბორბლიან ტრანსპორტს, რომელიც მეურნეობის ადგილობრივ დარგებთან იყო შეთაბუნებული. ჩვენი წინაპრებისათვის უცხო არ იყო უბორბლო ტრანსპორტიც — მარხილი, რომელიც ყოფაში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: მარხილი, (ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა. შ.), ლეკ მარხილაი (ზემო აჭარა), გოგორა (აჭარა), თუში (მთიულეთი, ფშავი, თუშეთი), ლაჩქამი (მთიულეთი, ქსნის ხეობა), მანჯაკი და ა. შ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მარხილი „არს ურმის მსგავსი და უგოგორო, თოვლზე სათრევი“. იგი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ა) კავები, ანუ ფეხები //ტოტები (თუშეთი), //დო (მთიულეთი), ბ) მარხილის ტანი ანუ ნერჩი (ფშავი) //კვატუში (ლეჩხუმი) და გ) ხელნა. მარხილის დამოუკიდებელი ნაწილია ულელი. მარხილს აქვს ორი კავი, ანუ ფეხი, ოთხი კოჭი //ჭალი (რაჭა), ნემსაფიცარი //თავჯოხი (მთიულეთი), წინა და უკანა კოფო და ორი ხელნა. მარხილის ტანი, სადაც შეშა, ფიჩხი, თივა და სხვ. თავსდება, კოჭებით მარხილის ფეხებს ეყრდნობა. მარხილის ფეხები წინა ნაწილში ერთმანეთთან „ნემსაფიცრით“ არიან შეერთებული. „ნემსაფიცრის“ წვერები მარხილის ფეხების გარეთ გადის და მათზე ჩამოცმულია ხელნები, რომლებიც უშუალოდ მარხილის ულელს უკავშირდება.

მარხილს ყოფაში თითქმის ყველა ამზადებდა. თავდაპირველად „ფეხებისათვის“ შეარჩევდნენ მოკაულ, თავმოღვეედილ (თუშეთი) ე. ი. ბუნებრივად მოხრილ ხეს, რცხილას ან არყს. კავები //ფეხები ითლებოდა ქართული ცულით. ისინი ძირში სქელი //მსუქანი უნდა ყოფილიყვნენ, სრიალის დროს გვიან რომ გაცვეთილიყო. ფეხებს სატეხით დახვრეტდნენ, ამოიღებდნენ (ვერტიკალურად) ოთხ „საკოჭე ადგილს“, ნაჯახით გამოჰყავდათ ნემსაფიცარა, მრგვალი თავჯოხი. დამზადებული ნაწილებით კი მარხილსააწყობდნენ.

მარხილზე ტვირთის დასამაგრებლად იხმარებოდა ღვლეჭი //ალაჭა (რაჭა), ანდა ორკაპა შინდის ხე. მარხილის დამზადებას ორი დღე უნდოდა და მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ორი კოდი ქერი ღირდა, იგი გამოიყენებოდა ძნის, თივის, შეშის, ფიჩხისა და სხვათა საზიდად. ამის მიხედვით იყო „შეშის“, „თივის“, „ძნის“ და ა. შ. მარხილები, რომლებიც ურთიერთისაგან სიდიდის (ტევადობის) მიხედვით განსხვავდებოდნენ. მაგ., ქსნის ხეობაში მარხილზე ერთი „თივა“ დადის, „თივა“ რვა ბულულია, ბულული ოთხი კონაა, კონა კი 160 კგ.

ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად მოიხსენიება მარხილი, მაგ., მეცამეტე საუკუნის ძეგლი გვამცნობს: „მუნ შეჰკაზმა ქვაი დიდი და მძიმე ფრიად და დადვა მარტომან მარხილსა ზედა“; „მოხსნეს მარხილნი ულელსა მასხართასა“ და ა. შ.

თუ ბარის ან გარდამავალი ზოლის სოფლებისათვის მარხილი სეზონური სატრანსპორტო სახეობაა და მას მოსახლეობა ურემთან ერთად იყენებდა, მთის ზოლის მოსახლეობისათვის იგი უნივერსალური საზიდი საშუალება იყო — აქ მარხილი ზამთარ-ზაფხულ მუშაობდა.

პროფესორ მ. გეგეშიძის აზრით, მარხილი, როგორც უბორბლო საზიდის გარკვეული სახე, გვხვდება აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, განსაკუთრებით კი მთიანეთში.







ზურაბ ბასიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გალაქტიკა.** მზე ერთ-ერთი იმ ასეულმილიარდობით ვარსკვლავთაგანია, რომლებიც ლინზის ფორმის ვეებერთელა გროვაში შედიან. ჩვენი მზის სისტემა ამ „ლინზის“ ცენტრიდან დიდი დაშორებით, თითქმის მის განაპირასაა მოთავსებული. თუ „ლინზის“ დიამეტრის გასწვრივ გავიხედავთ, დავინახავთ უამრავ მოციმციმე ვარსკვლავს, რომ-



ლებიც ღამეული ცის მთელ სიგრძეზე რძისფერი ლენტივითაა გადაჭიმული.

ძველი ბერძნების რწმენით, ეს „ლენტი“ დაღვრილი რძის წვეთებითაა წარმოქმნილი და მას გალაქტიკა (ბერძ. „გალაქტიკოს“ — რძე) ანუ რძის გზა უწოდეს. ქართულად გალაქტიკას, რომელშიაც ჩვენი მზის სისტემა შედის, გაცილებით უფრო პოეტური სახელი — ირმის ნახტომი ჰქვია.

**გენი.** ცოცხალი უჯრედის აგებულების შესასწავლად იმთავითვე ხმარობდნენ საღებავებს, რაც შესაძლებლობას იძლეოდა, დაენახათ ზოგიერთი ობიექტი. ასე აღმოაჩინეს უჯრედის ბირთვი. მის შიგნით აღმოჩნდა გარკვეული უბნები, რომლებიც საღებავს მკვიდრად იჭერდნენ და, ამიტომ, კარგად ჩანდნენ მიკროსკოპში. ამ უბნებს გერმანელმა ანატომმა ვ. ფლემინგმა **ქრომატინი** (ბერძ. სიტყვისაგან „ქრომა“ — ფერი) უწოდა.

უჯრედის დაყოფაზე დაკვირვებისას აღმოაჩინეს, რომ გარკვეულ ეტაპზე შეღებილი ნივთიერება ძაფისმაგვარ სტრუქტურებად, ანუ სხეულებად იყრიდა თავს. მათ **ქრომოსომები** უწოდეს (ბერძ. „ქრომა“ — ფერი და „სომა“ — სხეული).



მოგვიანებით დაადგინეს, რომ ქრომოსომები რაღაც გზით სხეულის ქიმიას უკავშირდებიან და მშობლიური სხეულის ნიშნები შვილის სხეულში სწორედ ქრომოსომების მეშვეობით გადადის. გამოირკვა, რომ ადამიანის სხეული 46 ქრომოსომას შეიცავს, ყოველი მათგანი კი შედგება ათასობით სხვადასხვა ერთეულისაგან, რომელთაგან თითოეული გარკვეულ ნიშანს ატარებს. ამ ერთეულებს **გენები** უწოდეს (ბერძ. „გენოს“ — დაბადებული, შობილი).

**გენი** სიტყვისაგან წარმოიშვა **გენეტიკა**, სახელწოდება მეცნიერების დარგისა, რომელიც მემკვიდრეობის მექანიზმს იკვლევს. ეს ტერმინი პირველად 1907 წელს შემოიღო ინგლისელმა ბიოლოგმა ჯ. ბეიტსონმა, ხოლო ყოველდღიურობაში დაამკვიდრა დანიელმა ბიოლოგმა ვ. იოჰანსენმა.

## ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

### სიკვდილსაც დავიწყნია

ე. ი. დიდხანს ცოცხლობს, აღარ კვდება.

ძველად ჩვენში სწამდათ, რომ სიკვდილი იყო უხილავი არსება, რომელიც, როცა დრო მოუვიდოდათ ხოლმე, ჩამოუვლიდა ადამიანებს, მხოცავდა და სულეთში მიჰყავდა ისინი. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ სიკვდილს დაავიწყდებოდა, ან მობეზრდებოდა ადამიანის მოკვლა და ისიც ამ ქვეყნად იმაზე მეტ ხანს ცოცხლობდა, ვიდრე ბუნებისგან ჰქონდა დადგენილი. ამ რწმენას დაეფუძნა გამოთქმაც — სიკვდილს დავიწყნია და მოხძულებიათ.

### რამდენი პერანგი მაქვს თქვენზე მეტი გაცვეთილიო...

**ნიშნავს:** შენზე რამდენით მეტი მიცხოვრია, შენზე ხნიერი ვარო.

ძველად, უფრო საქართველოს მთიანეთში, მამაკაცი რაც უფრო მეტ პერანგს გაცვეთდა, მით უფრო ხნიერად, გამოცდილად და პატივსაცემად ითვლებოდა. რაიმე საკითხის გადაწყვეტისას მას უპირატესობას ანიჭებდნენ იმასთან შედარებით, ვისაც ნაკლები პერანგი ჰქონდა გამოცვლილი.

### ცხრა ნაბადზე ხტომა

**ესაა** დიდი სიმარჯვე, არაჩვეულებრივი სიმკვირცხლე და ვაჟკაცობა.

ჩვენში ვაჟკაცის სიმარჯვე და ფიზიკური ღონე ძალიან ფასდებოდა. ვაჟკაცი არ ეთქმოდა, ვისაც შორ მანძილზე გადახტომა, სირბილი და დაბრკოლებათა გადალახვა არ ემარჯვებოდა. შორ მანძილზე ხტომის საზომად ჰქონდათ ნაბადი. გაშლიდნენ ნაბადს დაახლოებით ორი მეტრის სიგრძეზე — ამ მანძილს ერქვა ერთი ნაბადი. ამას მიუმატებდნენ ორი ნაბდის მანძილს და მოასპარეზეს სამი ნაბდის მანძილზე გადაახტუნებდნენ.

### პური ერთად გაგვიტეხია

**ითქმის** ახლობლობის, დამეგობრების დასადასტურებლად.

ქართულ სუფრაზე, ძველად, არ ეგებოდა, პური დანით დაეჭრათ, უეჭველად ხელით უნდა დაეტეხათ და ისე დაერიგებინათ. პურის გატეხა კი ჭამის დაწყებას ნიშნავდა, ხოლო ერთად ჭამის დაწყება აუცილებლად — მეგობრობას. იგულისხმებოდა, რომ ვინც ერთად, მხარდამხარ ეჯდა სუფრას და პურს ჭამდა, აუცილებლად ერთმანეთისადმი კარგად განწყობილნი, მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან კაცი პურობის დროს ნებით გვერდით არ მოისვამს იმას, ვინც მას არ ესიამოვნება.

### თათრიახნად...

**ე. ი.** სახელდახელოდ, დაუდევრად, მიფუჩეჩებით.

თურქულად იახნი ნიშნავს წვენს, ხოლო თათარი — სწრაფს, მოჩქარესა და მორბედს. თათრიახნია სასწრაფოდ, ნაუცბათევად გაკეთებული წვენი ხორცისა. ჩვენში თათრიახნს ეძახიან მწრალად მოხარშულ, შეუნელებელ ხორცს, რომელსაც ცოტა მოხარშვაც აკლია. ასევე იტყვიან დაუდევრად გაკეთებულ საქმეზეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კითხვა—გულუბრყვილო, პასუხი—სერიოზული

## რისთვის გამოიგონეს წყალქვეშა ნავები?

წყალქვეშა ნავს უმთავრესად სამხედრო მიზნებით იყენებენ. მას შეუძლია, თავს დაესხას მოწინააღმდეგის წყალზედა გემებს, მტრის შეუმჩნევლად გადაიყვანოს ჯარი და გადაიტანოს სამხედრო ტვირთი.

პირველი ნამდვილი წყალქვეშა ნავი „TURTLE" (კუ) 1776 წელს ამერიკაში ააგეს. ამ წყალქვეშა ნავს ძრავა არ ჰქონდა, მის ხრახნს ხელით აბრუნებდნენ.

სამხედრო დანიშნულების წყალქვეშა ნავების მშენებლობა მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დაიწყეს. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პირველსა და მეორე მსოფლიო ომებში იმით, რომ ჯარისკაცებით, პროდუქტითა და შეიარაღებით დატვირთული უამრავი გემი ჩაძირეს.

თანამედროვე წყალქვეშა ნავები ატომური ძრავებითაა აღჭურვილი, რამაც არნახულად გააფართოვა მათი შესაძლებლობანი, აამაღლა მათი მანევრირების უნარი და შეიარაღების დონე.

## რატომ აინტერესებთ კრიმინალისტებს ადამიანის თითის ანაბეჭდები?

ადამიანის თითები კვალს ტოვებენ ნებისმიერ საგანზე, რასაც კი შეეხებიან. მათ ანაბეჭდებს ვუწოდებთ. ყველა ადამიანს თითის განსხვავებული ანაბეჭდები აქვს. სწორედ ამით შეუძლიათ კრიმინალისტებს, ამოიცნონ კონკრეტული პიროვნება.

ღარები, რომლებიც ჩვენი თითების დაბოლოებათა ნახაზს ქმნიან, ფორებია, საიდანაც ოფლი ჟონავს. ტენიანი თითები საგნებზე მკაფიო კვალს ტოვებენ. არსებობს ანაბეჭდების უთვალავი განსხვავებული ფორმა, მოხატულობა. შეუძლებელია, რომ ორ ადამიანს, ტყუპებსაც კი, თითების აბსოლუტურად ერთნაირი ანაბეჭდები ჰქონდეს.




## რატომ მოგვდის ოფლი?

თუ ჩვენს ორგანიზმს ძალიან დასცხა, იგი თავის თავს იმით იგრილებს, რომ ოფლს გამოჰყოფს. ოფლი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი კომპონენტია. იგი კანის ჯირკვლებში წარმოიშობა, ფორებში გადადის და შემდეგ გარეთ გამოჟონავს. ორგანიზმს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ნორმალური ტემპერატურის შენარჩუნება სჭირდება. თუ ტემპერატურა აიწევს, აუცილებელია მისი დაწევა. სწორედ ამ დროს საოფლე ჯირკვლები გამოჰყოფენ მლაშე სითხეს, რომელშიც გარეულია მავნე ნივთიერება — ოფლი. სითხე გამოჟონავს კანის ზედაპირზე და ორთქლდება: ამ დროს დიდი რაოდენობის სითბო გამოიყოფა. ორგანიზმი გრილდება და ნორმალურ ტემპერატურას იბრუნებს.



დავით დემეტრაშვილი

## შალვა შაველაშვილი

### პაპაჩემი თუმც დაბერდა...



**პაპაჩემი** თუმც დაბერდა,
მაინც ერჩის მკლავიც, მუხლიც...
კვლავ ამწვანებს ვაკეს, ფერდას,
დარგო ნერგი ნაძვის, მუხის.

კარ-მიდამო ნამდვილ ტყეს ჰგავს —
სიმწვანეში ვიკარგები,
იმიტომ, რომ ხშირად ნერგს რგავს
პაპის გარდა ნიკაც, ბეგიც.

თეთრი ვარდის ნაზ ხავერდზე
ბრწყინავს ცრემლის მარგალიტი,
იასამნის ლამაზ ხეზე
გაფოთლილა ყველა კვირტი!

ნაძვის შტოზე ყოველ დილით
შავი შაშვი ტკბილად გალობს...
თითქოს მიხმობს: — „გეყო ძილი! —
ჩაიცვი და გარეთ გამო!..“

აივნიდან გადავხედავ
ტანაშოლტილ კიპარისებს,
პაპაჩემი ისევ მხნედ არს, —
არა ჰკარგავს სიხალისეს.

მეც მას ვბაძავ — მშრომელს,
გამრჯეს, —
დროს უსაქმოდ როდი ვკარგავ...
სწავლის შემდეგ თოხს ვიმარჯვებ,
ხან ვთოხნი და ხან კი — ვმარგლავ!

## დიდი ადამიანები ხუმრობენ

### სათევზაო ადგილი

**გამოჩენილი** ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი დასვენების ხანებში სიამოვნებით თევზაობდა ხოლმე. თავისი სახლის მახლობლად მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე მდინარის პირას ჩამოჯდებოდა, ჩაუშვებდა წყალში ანკესს და ფიქრს ეძლეოდა. სათევზაოდ ასეთი უხეირო ადგილის შერჩევით გაკვირვებულმა მეზობელმა ერთ დღეს უთხრა:

— არა მგონია, აქ რამე დაიჭიროთ. მდინარის სათავისაკენ უნდა აუყვეთ, იქ უხვად არის თევზი, ყოველ ჩაშვებაზე ანკესს თითო კალმახი წამოეგება.

— ვიცი! მაგრამ ანკესის მალიმალ ამოწევა ფიქრში ხელს შემიშლის, — მიუგო დიკენსმა.

### საწინააღმდეგო არგუმენტი

**მეთვრამეტე** საუკუნის ინგლისელი პოეტი სამუელ ჯონსონი ერთ ხოვდაგართან სადილად იყო მიწვეული.

— ოჰ, — წამოიძახა მსხვილმა ვაჭარმა, როდესაც სტუმარი დარბაზში შევიდა, — სულ სხვაგვარად მყავდით წარმოდგენილი, თქვენ კი ისე გამოიყურებით, რომ ცხვარსაც კი ერთ „ბეეს“ ვერ ეტყვით!

ჯონსონმა დიდხანს დაკვირვებით შეხედა, მერე თავაზიანი თავის დაკვრით უთხრა „ბეეო“ და უკანვე გამოტრიალდა.

### დიდი იშვიათობა

**ვენაში** ყოფნის დროს ჰაინრიხ ჰაინეს იქაურმა ცნობილმა პოეტმა და იუმორისტმა მორიც გოტლიბ საფირმა უთხრა:

— გუშინ ბარონმა როტშილდმა ანეკდოტი მიამბო. ისეთი სასაცილო იყო, რომ სიამოვნებით შევიძენდი ხუთას კრონად. ეს მართლაც დიდზე დიდი იშვიათობაა, როტშილდი ამდენ იუმორს რომ ამჟღავნებს.

ჰაინემ გაიცინა და მიუგო:

— ის კიდევ უფრო მეტი იშვიათობაა, საფირს ხუთასი კრონი რომ აღმოჩენია!

თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

8 წლის ნათია — მამას: — რატი, თქვი: დე ნირო ცუდია!

— დე ნირო ცუდია!

ნათია (მამიდასთან გარბის მეორე ოთახში): — ფიქრია, რატიმ თქვა, დე ნირო ცუდიაო!

— რეზო! რეზო! არ გესმის?!

6 წლის რეზო (გამოდის, იღუშება): — რა იყო, მამა?

— სადილობდი? მაპატიე, ჭამის დროს ძაღლს არ შეაწუხებს კაცი!

რეზო (ბუზღუნით): — იმიტომ, რომ ძაღლი გაბრაზდება და უკბენს, მე კი ვერ გიკბენ!

●

პაპა (5 წლის მიშიკოს):

— აბა, მითხარი, დედას რა ჰქვია რუსულად?

— მამა.

— მამას?

— პაპა.

8 წლის მირზა (თავისთვის): — რუსულში ყველაფერი არეულადაა.

●

ბებია — 5 წლის ნუგზარს:

— დაწექი, ბებო, ფიქრიას ლოგინში.

— ფიქრია რომ არ დამწვარა ჯერ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხელმწიფის ბიძაშვილი

ანჯალი პალი

მხატვარი
იოსებ სამსონაძე

ინდური ზღაპარი

**ბენგალიაში** იყო ერთი ხელმწიფე, განთქმული თავისი სიბრძნითა და სამართლიანობით, მორჭმული და განგებიანი. სიმდიდრე ულევი ჰქონდა და უხვად გასცემდა საჭურჭლეს ღარიბ-ღატაკთათვის. სამეფო სალარო სავსე იყო ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით და ხშირად ხელმწიფის საგანძურს უძირო ზღვას ადარებდნენ. მისგან ხელცარიელი არავინ წასულა და სასახლეში ნადიმზე მოსულნი იმაზე უფრო მეტად ავსილან ფულითა და განძეულობით, ვიდრე იმედი ჰქონდათ.

ერთ დღეს, როდესაც ხელმწიფე თავის დარბაზში იჯდა, სასახლის კარს ვიღაც საწყალი, ძონძებში გამოხვეული ბერიკაცი მოადგა და ხელმწიფესთან შესვლის ნება ითხოვა. გუშაგმა ჰკითხა, ვინა ხარ და რა გინდაო.

— მე ხელმწიფის ბიძაშვილი ვარ და მისი მეუფების ნახვა მსურს ერთ დიდად მნიშვნელოვან საქმეზეო.

გუშაგი სასახლეში შებრუნდა და ხელმწიფეს მოახსენა, გარეთ თქვენი მეუფების ბიძაშვილი გელოდებათო. ხელმწიფე გაოცდა, რადგან არავითარი ბიძაშვილი მას არ ჰყოლია, გუშაგს კი უბრძანა, შემოუშვიო. კარისკაცები უკლებლივ იქვე დარჩნენ, რადგან ყველას აინტერესებდა, საკუთარი თვალით ეხილათ ხელმწიფის ბიძაშვილი.

რამდენიმე წუთის შემდეგ სასახლეში გრძელ ჯოხზე დაყუდებული ბერიკაცი შემოვიდა. ის ნელა მიეახლა ხელმწიფეს და მდაბლად დაუკრა თავი.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— თუ თქვენი მეუფება არ გამირისხდება, მე მამათქვენის ძმის შვილი გახლავართ და ამიტომ ბიძაშვილად გერგებით.

ხელმწიფემ მხოლოდ გაიღიმა და ჰკითხა, როგორ გიკითხო, ბიძაშვილოო?

— ვერც ისე კარგად გახლავარ, ხელმწიფეო. ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. დიდებული სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ, დაძველდა და საცაა, მთლად დაიქცევა. ოცდათორმეტივე მსახური, მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთგულად რომ მემსახურებოდნენ, სათითაოდ ჩამომცილდნენ და გამეცალნენ. როცა შინიდან სამუშაოდ გავდივარ, იძულებული ვარ, სამი მათგანის იმედილა ვიქონიო, ნაცვლად ადრინდელი ორისა. ორი მეგობარი, ახლოს რომ მყავდა, შორს წამივიდა. ის ორი მეგობარი კი, შორს რომ იყვნენ, ახლა ახლოს მოვიდნენ.

— ჩემთან რაღად მოსულხარ? — ჰკითხა ხელმწიფემ.

—იმად, რომ თქვენი მეუფების შეწევნა მჭირდება, რათა მშვიდად და მოსვენებით გავლიო დარჩენილი დღენი ჩემნი.

მცირე ფიქრის შემდეგ ხელმწიფემ ბერიკაცს ერთადერთი ვერცხლის რუპია მისცა. მოხუცმა შუბლი შეიკრა და ხელმწიფეს უთხრა:

— მაინც რად ინება თქვენმა მეუფებამ ერთადერთი რუპიის ბოძება? მე, სულ ცოტა, ათასი რუპიის მოლოდინი მაინც მქონდა. ხალხისაგან გამიგონია თქვენზე, უფრო გულკეთილი ხელმწიფე ქვეყანაზე არ მოიძევებაო და რადა მაინცა და მაინც თქვენივე ბიძაშვილის გაწბილება გინებებიათ?

— მე ახლა მაგაზე მეტის მოცემა არ შემიძლია, ბიძაშვილო, რადგან სალარო მთლად დამიცარიელდა. ისევ მეწვიე, მცირე რამ ხანი რომ გაივლის და მაშინ შევძლებ შენთვის დახმარების გაწევას, — უთხრა ხელმწიფემ.

ამაზე მოხუცმა უმალ მიუგო:

—თუ თქვენი სალარო მართლაც დაცარიელდა, ვურჩევ თქვენს მეუფებას, კუნძულ ლანკაზე (ცეილონი) გაეშუროს. იქ ოქრო ქვიშასავით ყრია ზღვისპირას.

— მერედა, ზღვა როგორ გადავლახო? — ჰკითხა ხელმწიფემ ღიმილით, — ხომალდით გასვლა არ შემიძლია, რადგან ჩემი სახელმწიფოს კანონი ხელმწიფეს უკრძალავს ზღვაზე გემით ცურვას.

— მაშინ თქვენს მეუფებას ისღა დარჩენია, რომ შეწუხდეს და ფეხით გაიაროს გზა ოქროს კუნძულამდე, — ცივად მოუჭრა მოხუცმა.

— მერედა, როგორ გინდა, რომ ფეხით გადავლახო ზღვა?

— ეგ სრულიადაც არ არის შეუძლებელი. მე დავეხმარები თქვენს მეუფებას მაგ საქმეში.

— მაინც როგორ? — დაინტერესდა მეფე.

— თქვენი მეუფების სადიდებლად მე გადავალ ლანკაზე და ზღვის ფსკერს ფეხით გავივლი. თქვენს მეუფებას შეუძლია, უკან გამომყვეს ფეხდაფეხ.



ხელმწიფემ გულიანად გადაიხარხარა ამ უცნაურ სიტყვაზე და ბრძანება გასცა, საგანძურიდან ათი ათასი რუპია მოეტანათ. მთელი ეს ფული მან ბერიკაცს გადასცა.

ხელმწიფის თვითმარქვია ბიძაშვილი სასახლეს რომ გაეცალა, კარისკაცებმა ერთი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა შექნეს. ვერაფრით ვერ გაეგოთ, ვინ იყო ეს ბერიკაცი და რატომ დააჯილდოვა ხელმწიფემ იგი ასე გულუხვად ასეთი ბრიყვული ლაყბობისათვის. კარისკაცებმა ვერ გაბედეს ეთხოვათ განმარტება, მაგრამ, მათდა საბედნიეროდ, ხელმწიფემ თავადვე ითავა თავისი საქციელის ახსნა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა კარისკაცთა კრებულს:

— დარწმუნებული ვარ, სული გელევათ იმის მოლოდინში, როდის შეიტყობთ იმ ბერიკაცის ვინაობას. მან ხომ თავი ჩემს ბიძაშვილად გაასაღა და, ერთგვარად, არის კიდეც ჩემი ბიძაშვილი. სვესვიანობა და ბედუკუღმართობა ძმები არიან. მე სვესვიანობის ძე ვარ, ის მოხუცი კი ბედუკუღმართობის ნაშიერია და, თქვენ ყველამ კარგად უწყით, რომ ძმათა შვილები ბიძაშვილები არიან. მოხუცმა რომ თქვა, სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ, დაძველდა და საცაა, დაიქცევაო, თავის სხეულს გულისხმობდა; ოცდათორმეტი მსახური, სათითაოდ რომ მიატოვეს იგი, მისი კბილებია. ბერიკაცის სიტყვები, შინიდან სამუშაოდ გასვლისას ორის ნაცვლად სამს ვეყრდნობიო, მის ფეხებსა და ხელჯოხს ნიშნავდა. ორი ახლომყოფი მეგობარი, ამჟამად რომ დასცილდნენ, მისი ყურები გახლავთ, და ამრიგად მამცნო, რომ ყურს დაჰკლებია. მისი ორი სხვა მეგობარი კი, რომლებიც შორს იყვნენ და ახლა ახლო მოსულან, მისი თვალებია. ამით მას იმის თქმა სურდა, რომ თვალსაც დააკლდა.

კარისკაცები, სახტად დარჩენილნი, უსმენდნენ და ბოლოს ესღა შეჰკადრეს ხელმწიფეს:

— მართლაც საოცარია, როგორ გამოიცნო თქვენმა მეუფებამ ბერიკაცის სიტყვებს ამოფარებული აზრი. მაგრამ, გთხოვთ, ხელმწიფეო, აგვიხსნათ, რატომ ინება თქვენმა მეუფებამ მისთვის ათი ათასი რუპიის ბოძება ოქროს კუნძულამდე ფეხით მისვლის თაობაზე წამოროშილი სისულელისათვის?

მეფემ გაიღიმა და თქვა:

— ბერიკაცის უკანასკნელი სიტყვები, თქვენ რომ წამოროშილ სისულელედ მიგიჩნევიათ, თუ სიმართლე გინდათ, ყველაზე გონებამახვილურად იყო ნათქვამი.

— ეგ საიდანღა გამოდის, დიდო მეფეო? — ჰკითხეს გაოგნებულმა კარისკაცებმა.

— საიდან და, იქიდან, რომ აკი მითხრა მოხუცმა, მე ფეხით ვივლი ლანკამდე და თქვენ უკან გამომყევითო. ამ სიტყვებს პირდაპირ მე მიმიზნებდა. ამით მან გადაკრულად მითხრა, რაკი ასე უილბლო ვყოფილვარ, რომ შენი ურიცხვი სიმდიდრე, რომელსაც უძირო ზღვას adარებენ, მაშინვე დაილია, როგორც კი მე მოვედი, იქნებ თვით ზღვაც უმალ დაშრეს, როგორც კი მე მივადგებიო, და აბა, მაშინ რაღა დაგვიშლის ჩვენ ორივეს, ფეხით ვიაროთ მის ფსკერზე თვით ლანკამდეო. ჰოდა, მეც ამ დიდად გონებამახვილური სიტყვისათვის მივეცი მას ათი ათასი რუპია.

კარისკაცები განაცვიფრა ბერიკაცის მოსწრებულმა სიტყვამ და ხელმწიფეს ერთხმად მოახსენეს, ჭეშმარიტად ღირსი ყოფილა ის ბერიკაცი თქვენი გულუხვობისაო.

ინგლისურიდან თარგმნა
**გიორგი ჯაბაშვილმა**

განუოცილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს და სსრკ-ს
დამსახურებული მწვრთნელი
**შოთა ინწკირველი**

## ევროპის პირველი ჩემპიონები

წლეულს (22 ვარდობისთვე — 2 თიბათვე) მამაიაში (რუმინეთი) ჭადრაკის ისტორიაში პირველად ჩატარდა გოგონათა ევროპის ჩემპიონატი. თორმეტ წლამდე გოგონებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა (დაიბადა 1979 წლის 27 ლეინობისთვეს. მე-2 საშუალო სკოლა, V კლასი). ჩემპიონატი წრიული სისტემით ჩატარდა. სოფიკომ შვიდი პარტია მოიგო, ბოლო ორი ყაიმით დაამთავრა და თერთმეტი შესაძლებლიდან 9 ქულა დააგროვა.



თოთხმეტ წლამდე გოგონებში ევროპის ჩემპიონი გახდა თბილისელი მაია ლომინეიშვილი (დაიბადა 1977 წლის 11 გიორგობისთვეს. 174-ე სკოლა, VIII კლასი). ამ ჩემპიონატში თვრამეტი მონაწილე იყო და ამიტომ შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. ცხრა ტურში მაიამ ოთხი პარტია მოიგო, ხუთი ყაიმით დაამთავრა და ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულა დააგროვა.

სოფიკომ და მაიამ მომავალ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს ფიდეს (ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაცია) ოსტატის წოდება ენიჭებათ.

ქვემოთ მოტანილი პარტია ნათამაშევია 12 წლის ბულგარელ ანტუანეტა სტეფანოვასთან, რომელმაც შარშანწინ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ათ წლამდე გოგონებში.

**სტეფანოვა** (სოფია) — **ტყეშელაშვილი** (ქუთაისი). ჰოლანდიური დაცვა. მამაია. 1991 წელი, 26 ვარდობისთვე. V ტური. 1. მf3 e6 2. d4 f5 3. g3 მf6 4. კg2 d5 5. 0—0 კd6 6. c4 c6 7. b3 ლe7 8. მbd2 მbd7 9. კb2 0—0 10. მe1 (შეუძლებელია გამოიცნო, თუ რა მიზნით გააკეთა ეს სვლა სტეფანოვამ, f2—f3 და შემდეგ e2—e4-ის განსახორციელებლად, თუ მe1—d3, მd2—f3 სვლებით კონტაქტის დასამყარებლად მნიშვნელოვან e5 ცენტრალურ უჯრასთან) 10. ...g5 11. e3 ლg7 12. c:d5? (სტრატეგიული შეცდომა, რომელიც ეხმარება c8 კუს განვითარებას და უფრო აქტიურს ხდის e4 ფორპოსტს) 12. ... e:d5 13. ლc2 a5 14. a3?! მb6 15. კc3 (ახლა და მომდევნო სვლებზე ჯობდა პროფილაქტიკური a2—a4) 15. ... მe4 (ჯობდა ჯერ 15... a4) 16. მ:e4? (სტეფანოვას ან მოთმინება ღალატობს, ან პოზიციის გაგება) 16. ... f:e4 17. f3 e:f3 18. ე:f3 ე:f3 19. მ:f3 ლe7 20. ლf2 a4! 21. b4 მc4



22. კd2 კg4 23. h3? (ეს უკვე ტაქტიკური შეცდომაა, რომელიც აჩქარებს წაგებას. სუსტდება d3 და g3 პუნქტები, რაც იწვევს f2 ლაზიერის გადატვირთვას (მოტივი). 23 ... კ:f3 24. კ:f3 კ:g3! (ეს მოხდენილი სვლა — გათრევის იდეა — ზემოთ აღნიშნული მოტივის მატერიალიზებულია) 25. ლ:g3 მ:d2 და, სტეფანოვას შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, სოფიკო ტყეშელაშვილმა დამაჯერებლად გაიმარჯვა 58-ე სვლაზე.

**ტყეშელაშვილი** (ქუთაისი) — **მენოზი** (პარიზი). სიცილიური დაცვა. მამაია. 1991 წელი, 27 ვარდობისთვე. VI

# ჭადრაკი

ტური. 1. e4 c5 2. მc3 მc6 3. g3 d6 4. კg2 მf6 (უმჯობესია 4... g6, კg7, e6, მge7) 5. d3 e6 6. მge2 კe7 7. 0—0 0—0 8. h3 ეb8 9. კe3 b5 10. f4 ლc7 11. g4 b4 12. მb1 მd7 13. f5 მde5 14. მf4 კd7 15. მd2 მd4 16. მh5 f6?! (ჯობდა 16... ლd8) 17. მf4 ლc8 18. მb3 მ:b3?! 19. a:b3 ეa8 20. c3 მc6 21. f:e6 კ:e6 22. e5!



(ეს მახვილგონივრული, ეფექტური დარტყმა წყვეტს ბრძოლის ბედს. 22... fe ან 22... მ:e5 იწვევს c3 ლაზიერის გადატვირთვას) 22... d:e5 23. მ:e6 ლ:e6 24. ეa6 ეac8 25. ლf3 ლ:b3 26. ე:c6 ე:c6 27. ლ:c6 ლ:b2 28. ლe6 მენოში დანებდა.

ახლა გავეცნოთ მაია ლომინეიშვილის პარტიის დაბოლოებას რუმინელ ტოდირელისთან (I ტური, 23 ვარდობისთვე).

ლომინეიშვილი



ტოდირელი

მაიამ წინასწარ გაითვალისწინა ეს პოზიცია და ყველაფერი ზუსტად გათვალა.

30... ლ:h4 31. d7 მg8 32. ლ:g3 ეe1 33. მფh2 ლ:d4 34. ლ:e1 (თუ 34. ლb8, მაშინ 34... მფg7 35. d8ლ ლg1 36. მფg3 ეe3 37. მფh4 ლf2 38. g3 ეe4 39. ლf4 ე:f4 40. gf ლ:f4×) 34... ლ:d7, და ლაზიერების ენდშპილში ტექნიკურად ზუსტი თამაშით 72-ე სვლაზე ლომინეიშვილმა გაიმარჯვა.



# თვითგადარჩენის კურსი მოზარდთათვის

დი სნაიდერი



## რა და რა ხდება ისეთი იქ?

პირველად სექსი თორმეტი წლისამ შევიმეცნე — წიგნიდან. დიდი მადლობა მშობლებს. არ ვიცი, სად იშოვეს ეს წიგნი. ალბათ ოჯახის ექიმმა გამოუძებნა. რამდენადაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაჩემი ყოვლისშემძლე იყო და კედლების მიღმა რა ხდებოდა, იმასაც ხედავდა, შიშისაგან ვცახცახებდი, ოთახში ჩაკეტილი: სექსზე დაწერილი წიგნის ხელში დაჭერაც ხომ „ცუდია" და „აკრძალული", რომ აღარაფერი ვთქვათ თავად სექსზე!

აკანკალებული ხელებით ვფურცლავდი გვერდებს. წიგნი მშრალი სამედიცინო ენით იყო დაწერილი და მოგვითხრობდა იმის შესახებ, თუ როგორ ანაყოფიერებს სპერმატოზოიდი კვერცხუჯრედს და ასე შემდგომ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებდა, თუ როგორი გზით აღწევდა სპერმატოზოიდი კვერცხუჯრედამდე. წიგნში საიდუმლო ასეთი სახით იყო ახსნილი: ეს ხდება მაშინ, როდესაც ქალი და მამაკაცი უახლოვდებიან ერთმანეთს.

ამის შემდგომ, ყოველთვის, როდესაც მამაჩემი დედაჩემს მხრებზე ეხვეოდა, ველოდი კიდევ ერთი, ახალი ძმის გაჩენას. მაგრამ რა საჭირო იყო, ოჯახში ისედაც ექვსი ბავშვი ვიყავით! ხოლო როდესაც ვხედავდი, თუ როგორ ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს უფროსი გოგონები და ბიჭები... შეგიძლიათ წარმოიდგინოთ! საბედნიეროდ, როდესაც მე და ჩემმა ცოლმა ბავშვის ყოლა გადავწყვიტეთ, შესაბამის ტექნოლოგიაში საკმაოდ ვიყავი გათვითცნობიერებული. უფრო მეტიც, როდესაც ამის თაობაზე შევიტყვე, აქტიურად დავიწყე ვარჯიში, თორემ ვიდგებოდით ერთმანეთის პირისპირ ტანისამოსგახდილები, ხვევნა-კოცნით გართულები და ვერ მივხვდებოდით, რატომ არ ჩნდებოდნენ ეს ბავშვები?

რისთვის გიყვები ყველაფერს ამას? მოდი, შენზე ვილაპარაკოთ.

ამრიგად, შევუდგეთ სექსუალურ განვითარებაზე საუბარს. რამდენიმე წლის განმავლობაში ხდება სქესობრივი განვითარება და ერთ-ორ წელიწადში აღწევთ სქესობრივ სიმწიფეს: გოგონები ქალები ხდებიან და შეუძლიათ იყოლიონ ბავშვები, ხოლო ბიჭუნები — მამაკაცები, რომელთაც განაყოფიერება ძალუძთ. ბიოლოგიური აზრით, სამწუხაროდ, სქესობრივი და ემოციური სიმწიფე ერთმანეთს არ ემთხვევა. ემოციური სიმწიფე მოგვიანებით დგება და ეს არცთუ ისე დიდი დრო დიდ პრობლემებს badებს.

როდესაც ამას კითხულობ, თავში ჩაიდე, რომ სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა ტემპით ვითარდებიან. ამქვეყნად მოვლენის პირველივე დღეებიდან შენი აღზრდა სრულიად უნიკალურია და ასევე იქნება მთელი ცხოვრება. შენ შეიძლება განვითარდე adre ან ცოტათი დააგვიანო, მაგრამ ეს ყველაფერი აბსოლუტურად ნორმალურია. დაიხსომე მხოლოდ ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა, რომლებიც შენს სქესობრივ განვითარებას ეხება: „დაე, ეს ყოველივე ნუ აგაღელვებს".

## სქესობრივი აღზრდა

გამოკვლევათა შედეგად დაადგინეს, რომ ის მოზარდები, რომლებიც მშობლებთან ერთად მსჯელობენ სექსუალური ცხოვრე-



ბის საკითხებზე და სკოლაშიაც ისმენენ სქესობრივი აღზრდის კურსს, იშვიათად ხვდებიან არასასიამოვნო სიტუაციაში, რომელიც ორსულობასთანაა დაკავშირებული და, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო გვიან იწყებენ სექსუალურ ცხოვრებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მშობელს როდი აქვს იმის უნარი, შეასრულოს კვალიფიციური მასწავლებლის როლი. ამასწინანდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოზრდილ მამაკაცთა თითქმის ნახევარმა და ქალების ოცდათვრამეტმა პროცენტმა არ იცის, რომ არსებობს ე. წ. „სახიფათო დღეები". არა და, გამოკითხულთა შორის დედებიც იყვნენ. მეორე პრობლემა: იმ მშობლებსაც კი, რომლებიც შესანიშნავად არიან გამობრძმედილი ამგვარ საკითხებში, ზოგჯერ ეუხერხულებათ ბავშვებთან ამ თემაზე საუბარი.

სექსის ტექნიკასა და ტერმინოლოგიაში. ეს შეჯიბრი იმდენად მძაფრად ვითარდება, რომ გოგო-ბიჭები ხშირად არარსებულ შეყვარებულებს იგონებენ, რომლებიც სადღაც, სხვა ქალაქში, კანადაშიც კი ცხოვრობენ. ხოლო როცა რომელიმე მათგანს სთხოვ, შეყვარებული გამაცანიო, შენი მეგობარი ჩვეულებრივ, დაახლოებით ასე გიპასუხებს: „ჩვენ, ეს-ეს არის, წავიჩხუბეთ... და, საერთოდ, ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ საზაფხულო რომანი იყო..."

ერთი ჩემი ნაცნობი პორტფელით ატარებდა მსახიობ ჯუდი კარნის ფოტოსურათს და მას თავის შეყვარებულად აცხადებდა. „ეს ხომ ჯუდი კარნია, მსახიობი," — ვეუბნებოდით ჩვენ. არაფერიც, — გვიპასუხებდა იგი, — უბრალოდ, ჩემი გოგო ძალიან ჰგავს მას.., ბიჭუნა თავს უხერხულად გრძნობდა, რაკი მეგობარი გოგონა არ ჰყავდა და ამიტომაც გამოიგონა ეს ისტორია (მალე შეიტყობ, თუკი ჯერ არ შეგიტყვია, რომ ზოგი არა მხოლოდ ტყუის სექსზე ლაპარაკისას, არამედ იმ მიზნითაც ტყუის, რომ „მოიპოვოს" ეს სექსი).



მშობელთა უმრავლესობა პრობლემას მარტივად წყვეტს: ისინი საერთოდ არ საუბრობენ მოზარდებთან სექსის თემაზე. ბრწყინვალე გადაწყვეტაა! როგორც მოზარდთა გამოკითხვით გამოირკვა, მათი 45 პროცენტისათვის მშობლებს არაფერი უსწავლებიათ. თუმცა იმ სკოლებშიც კი, სადაც სქესობრივი აღზრდის კურსებია შემოღებული, სწავლების სიღრმე და ხარისხი ფრიად საეჭვო დონისაა.

ყველაზე ხელმისაწვდომი (და ყველაზე არასაიმედო) ინფორმაციის წყარო შენი მეგობრების წრე და ამ წრის ლაყბობაა. მოზარდები ერთმანეთს შორის ერთგვარ სექსუალურ შეჯიბრს ატარებენ: რომელ გოგონას დააჩნდა უფრო ადრე მკერდი? რომელ ბიჭუნას ამოუვიდა პირველად ულვაში (თუნდაც რამდენიმე ღინღლი)? ზოგჯერ ისეთაც ხდება, რომ გოგონებიც და ბიჭებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან, პირველი ვინ დაკარგავს უბიწოებას.

მოზარდისაგან სწორი და პატიოსანი პასუხის მიღება ხშირად წარმოუდგენლად ძნელია, რადგან ყველა აზვიადებს ხოლმე საკუთარ სექსუალურ გამოცდილებას. არავის სურს თავისი უვიცობის გამომჟღავნება:

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორედ მშობლებისაგან შეითვისო პოზიტიური შეხედულება სექსსა და სიყვარულზე. უფროსები, რომლებიც სექსს საზიზღრობად თვლიან, თავიანთ დამოკიდებულებას მის მიმართ, ნებსით თუ უნებლიეთ, შვილებსაც გადასცემენ.

არ შეგიძლია მეგობრებთან და მშობლებთან საუბარი? ეცადე, გაესაუბრო ოჯახის ექიმს, რომელიც, შესაძლოა, უკვე შეეჩვია იმას, რომ აუცილებელი ინფორმაცია მიაწოდოს ხოლმე მორცხვი მშობლების მორცხვ შვილებს. ექიმები, სკოლების მედდები, მასწავლებლები (რომლებიც სპეციალურ კურსს კითხულობენ), კონსულტანტები — აი, ისინი, ვისგანაც შეგიძლია მიიღო საიმედო ინფორმაცია.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მთარგმნელები ნანა მენაბდე,
მაია ტოხი.

# რჩევები

## თუ გაცივდი...

შალის ნაჭერი გაჟღინთე ძმრითა და მცენარეული ზეთით და გეფინოს მკერდზე მთელი ღამის განმავლობაში. კისერზე გაიკეთე სახეზე გახსნილი პირშუშხას კომპრესი. გრძელ შალის წინდებში ცოტაოდენი გაცხელებული ბზე ჩაყარე და ფეხებზე ჩაიცვი.

ან კიდევ: წინდებში მდოგვის ფხვნილი ჩაყარე, ჩაიცვი და ასე იარე რამდენიმე დღის განმავლობაში.

## ხიწვი თუ შეგერჭო...

ხიწვით დაზიანებულ ადგილს სქლად წაუსვი ფისი ან დროდადრო ფისით გაჟღენთილი ჩვარი შემოიხვიე. 15-20 წუთის შემდეგ ხიწვი იმდენად ამოყოფს თავს, რომ თავისუფლად შეძლებ მის ამოძრობას.

## ხელი გაიჭერი?..

აიღე ალოეს ფოთოლი, გაჭერი და ერთი ნახევარი გაჭრილი მხრიდან ჭრილობაზე დაიდე. ჭრილობა მალე მოგიშუშდება.

აი, კიდევ, ჭრილობის მკურნალობის ორი წესი:

მოიბანე ჭრილობა და დაადე სპირტისა და ჭინჭრის ფოთლების ნაყენის კომპრესი. ნაყენი ასე მოამზადე: ბოთლი პირთამდე გაავსე ნედლი ჭინჭრის ფოთლებით, შეავსე სპირტით, დაახურე საცობი და დადგი მზეზე ორი კვირის განმავლობაში.

ასი გრამი მცენარეული ზეთი, 8 გრამი ყვითელი სანთელი, 5 გრამი თეთრი სანთელი, 30 გრამი წიწვის ფისი, ერთი გრამი საკმეველი, ერთი კოვზი უმარილო კარაქი მოათავსე ქვაბში და კოვზის განუწყვეტელი მორევით ადუღე ათი წუთის განმავლობაში. მოხადე ქაფი, ნარევი მინის ქილაში გადაიტანე, მალამო დოლბანდზე თხელ ფენად გაუსვი და ჭრილობაზე დაიფინე. ეს მალამო არა მარტო ახალ, არამედ ძველ, მოუვლელ ჭრილობასაც კურნავს.

შეკრიბა ლ. ცქვიტიშვილმა


შაქრო, ზაქრო და ვირი ცქრიალა
მხატვარი
გივი კუტრიაშვილი
— ეჰ, კარგია ახლა წყაროზე ჩაციებული საზამთრო!
— აბა, ჰე! თანდილა პაპას ბაღისაკენ!
— ჩქარა, თანდილა პაპამ არ მოგვისწროს!
— ღობის გარეთ გავზიდოთ!
— გაჩუმდი, შე მართლა ვირო!
— ჩქარა, ზაქრო, დაგვღუპა ამ ვირიშვილმა!
— რა მშრალზე დაგვტოვა, შაქრო, ამ სამგლემ!

# კროსვორდი



თარაზულად: 5. მხატვრის სახატავი ხელსაწყო, გაშლილი სამფეხა ყუთი; 6. იშვიათი, განუმეორებელი; 8. ეკლესია თბილისში; 11. ზღაპრული გრძნეული ქალი; 14. ანცი; 15. მცირე ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთსა და ბელგიაში; 16. რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკად და თონიდან შოთის ამოსაღებად; 17. მე-19 საუკუნის ნორვეგიელი დრამატურგი; 21. წოდება რევოლუციამდელ საქართველოში; 22. ფასიანი ქაღალდი; 23. ქართული მხატვრული ფილმი ი. ხვიჩიას მონაწილეობით; 26. სამხედრო ქვედანაყოფი; 27. საერთო წესისგან გადახვევა; 28. საჩრდილობელი, რომელიც ვაზით ან სხვა მცენარითაა დაფარული.

შვეულად: 1. შუა საუკუნეების მონასტერი ქუთაისის მახლობლად; 2. ქიმიური ელემენტი; 3. ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 4. შესვენება წარმოდგენის დროს; 7. განდეგილი; 9. მეცნიერების დარგი; 10. ამერიკელი მწერალი; 12. სუნელი; 13. შემნახველ ბანკში შენახული ფული; 18. საქონლის საჯაროდ გაყიდვა; 19. ტროპიკული სურნელოვან ნაყოფიანი მცენარე; 20. საძირკველი; 24. ხინჯი; 25. სახნისის მიერ გატარებული კვალი.

შეადგინა
გიორგი ჩაგანავამ



იპოვეთ ამ ორ ნახატს შორის ექვსი განსხვავება.





| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | △ | ○ | + | | ○ | = | □ 0 |
| + | 1 | ○ | + | 1 | □ | = | △ 8 |
| | 4 | 0 | + | 1 | 8 | = | ○ 8 |

ეს თავსატეხი თურქული ჟურნალიდან ამოიღო და გამოგვიგზავნა თბილისის 178-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ, ნანა ბარამიძემ. ცარიელ სამკუთხედებსა და წრეებში ციფრები უნდა ჩაწეროთ ისე, რომ ჯამი არ დაირღვეს.

## თავსატეხების გასაღები

### კროსვორდი

თარაზულად: 1. ბორბალა; 4. პალერმო; 9. რომი; 10. იქსი; 11. მორავია; 14. ლამა; 15. ყადრი; 17. როლი; 18. კლოუნი; 19. მაზარა; 23. მერი; 24. იფანი; 25. დირე; 27. ალბიონი; 31. ალაო; 32. ქარი; 33. ალერგია; 34. მარხილი.

შვეულად: 1. ბერთოლე; 2. რემა; 3. ლელო; 5. აზრი; 6. როქი; 7. ოლიმპია; 8. ბლანდი; 12. კალორია; 13. არმანდი; 15. ყუნწი; 16. ისანი; 20. ამილაზა; 21. ვანილი; 22. მერდინი; 26. მარე; 28. ლალი; 29. ნიშა; 30. დასი.

### გამოცანები

ტაიჭი, ხორთუმი, ლობიო, დრო.

### შარადები

ბე, დოვლათი, ბედოვლათი; ხოხობი, ხობი; არაკი, დო, აკიდო; ალი, ბუხარი, ალიბუხარი.

ფ 35/2
ეროვნული ბიბლიოთეკა




მომავალ წელს „ნაკადული“ 1 მანეთი ეღირება, ე. ი. წლიური ხელმოწერა სულ რაღაც 12 მანეთი დაგიჯდება.

არ დაგავიწყდეს, რომ საგაზეთო ჯიხურებში ჩვენს ჟურნალს ძალზე მცირე რაოდენობით იღებენ.

ინდექსი 76157

# 1992 წელს

## ჟურნალი

# ნაკადული

## გთავაზობთ

- ქართველ მწერალთა ახალ ნაწარმოებებს.
- საყმაწვილო ლიტერატურის მსოფლიო შედევრთა თარგმანებს.
- კომიქსებს.
- თქვენი თანატოლების ნაშუშევრებს.
- საუბრებს რელიგიაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, ტექნიკის სიახლეებზე, სპორტზე...
- რუბრიკებს: „რატომ? საიდან? რისთვის?“, „ეთნოგრაფია“, „წარსულის ექო“, „ცოტ-ცოტა ყველაფერზე“ და სხვ.

ფასი 40 კაპ.